


619  
1972



נבואה

№ 4 336090 1972



სუპა ბერულავა

### ფრილოს ხიდთან, ლენინის ხიდთან

ორი დღით ადრე, დროშა წითელი  
აენთებოდა ვიდრე თბილისზე  
და განთიადის ხმა მიმზიდველი  
აღმოსდებოდა როგორც დილის მზე;

ორი დღით ადრე, მხარე მშობელი  
იმ ნანატრ წამებს იგრძნობდა ვიდრე  
და გამარჯვების საგალობელი  
მოეფრქვეოდა მთებსა და მინდვრებს; —

აქ დაიბადა სახალხო ფიცი  
და წარმოითქვა წმინდა სახელი —  
სამი მეზობლის და სამი მიწის  
შვილთა მამაცთა ნაკარანახევი;

როგორც საყვარელ ბელადს და ქომაგს,  
გაუხსნეს გული ალალ-მართალი,  
მას, ვინც ხმამალა აღიდა შრომა  
და მამვრალკაცთა გახდა სარდალი.

აქ დაიბადა, აქ დაიწერა,  
ეს მისალმება — ხალხის გულისხმა,  
ვით ერთგულების მძაფრი სიმღერა,  
როგორც ქუხილი გაზაფხულისა!

მისი სახელი აღმოხდა უმაღლ,  
როცა აუხდა ხალხს ნატვრა დიდი,  
და ფრილოს ხიდს ათასმა გულმა  
ერთად უწოდა: ლენინის ხიდი.

თუმცა არ ჰგავდა მთავრობის დეკრეტს,  
ყველა დეკრეტზე უფრო ძლიერი,  
ეს იყო აზრი, რომ გვხიბლავს დღემდე,  
ხალხისმიერი და მშვენიერი.

ო, ის წერილი და გათენება,  
გულში შუქივით შემოვარდნილი!

სწორედ იმ დღეთა გასახსენებლად  
მე თბილისიდან მოველ ამ დღით.

ხიდიდან ვხედავ სამგორს და რუსთავს,  
მესმის ძახილი მშობელი მიწის,  
და ვეუბნები წინამძღვარს უკვდავს,  
რომ აღასრულეს მხედრებმა ფიცი.

მე რომ არ მეთქვა, ეტუოდა მტკვარი,  
როგორ აუვავდა მიწა ქართული,  
როგორ წამოდგა ივერთა მხარე,  
გამარჯვებული, მხრებგამართული!

სამგორის ველმაც დალია წყალი,  
საუკუნეთა წყურვილი დაცხრა,  
კაცმა იოვანა სიცოცხლის თვალთ  
და ნატვრისთვალთ იოვანა კაცმა.

იქ, სადაც იყო ნაქალაქარი,  
გაჩნდა რუსთავი, ვით საოცრებზე  
საუკუნეთა ტევრში გამქრალი  
მამულიშვილთა დიდთა ოცნება.

მას ამაღლებენ მზეშიც და ქარშიც  
მემკვიდრეები იმ მხედრობისა,  
მხრებამდე წყალში რომ იდგა მაშინ  
და აღადგინა ხიდი ძმობისა...

და განა მართო რუსთავის კარი,  
და განა მართო სამგორი მოჩანს!  
ქრის ოცდახუთი თებერვლის ქარი  
და აშრიალებს სამშობლოს დროშას.

მარად სიცოცხლის იმედად გვახლავს,  
ვინც ხალხთა ძმობას გუშავგობს მარად,  
და სიამაყით ვკითხულობთ ახლაც  
მამათა ჩვენთა იმ უკვდავ ბარათს.

25 თებერვალი, 1972.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ეკოა

№ 4 (425) აპრილი, 1972 წ.

გამოცემის წელი 50-ე.

სოციალ-დემოკრატიული საზოგადოებრივ-  
პოლიტიკური და სალიბერალური  
სამხატვრო შურნალი

# მუცა ეზოა, მუცა ესაზღვრება



ქართველი და ოსი ხალხების ძმობა გუშინ და გუშინდელ არ დაწყებულა — მას შორეული ისტორიული ფესვები აქვს. პოეტი-აკადემიკოსი გიორგი ლეონიძე წერდა: „უხსოვარ დროიდან ჩვენ და ოსები ერთად ვუმკლავდებოდით მონგოლთა ნიაღვარს, თურქთა და ირანელთა ლაშქრობებს, თვით შაჰ-აბაზის წინააღმდეგ ერთად იბრძოდნენ ქართველი და ოსი მხედრები“.

ქართველი და ოსი ხალხების მეგობრობას საუკუნეთა მანძილზე განამტკიცებდა მჭიდრო ეკონომიური და კულტურული ურთიერთობა, ერთმანეთისადმი ღრმა პატივისცემა და სიყვარული.

საყოველთაოდ ცნობილია ის დიდი ყურადღება, რასაც ოსეთისადმი იჩენდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ბელადი ილია ჭავჭავაძე. „ივერიაში“ იგი ხშირად აქვეყნებდა წერილებს ოსეთზე. ილია ჭავჭავაძის ნაწერებში მეცნიერული სიღრმით არის განხილული ოსეთის ისტორია, იმდროინდელი სოციალური უკუღმართობა, ხალხის სიბეჩავე და უმწეო მატერიალური მდგომარეობა. ილია სწუხდა ოსი ხალხის ხვედრზე, ისევე როგორც საქართველოს ბედი თავიანთ ღვიძლ და სისხლხორცეულ საქმედ მიაჩნდათ ოსი ხალხის საუკეთესო შვილებს.

ოსური ლიტერატურის ფუძემდებელს კოსტა ხეთაგუროვს უანგაროდ უყვარდა საქართველო. იგი მწვავედ განიცდიდა საქართველოს ეროვნულ ჩაგვრას და შევიწროებას. კოსტას მჭიდრო მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა თავისი დროის მოწინავე ქართველ მოღვაწეებთან.

ყოველივე ეს ხალხთა ურთიერთსიყვარულის ნათელი და მკაფიო გამოხატულება იყო.

\* \* \*

სამხრეთ ოსეთის სახელმწიფო მუზეუმში ცალკე სტენდი აქვს დათმობილი ლადო კეცხოველის ბრძოლასა და ცხოვრებას. ლადოს ბევრი ოსი მეგობარი ჰყავდა. მისი ბავშვობა, და შემდგომში რევოლუციური მოღვაწეობა მჭიდროდ არის დაკავშირებული სამხრეთ ოსეთთან და ქართველი და ოსი ხალხის ძმური მეგობრობის კიდევ ერთ ნათელ სურათს შლის.

ბავშვობის წლები ლადომ ჭავის რაიონში, სოფ. თლიაში გაატარა (მამამისი იქ მღვდლად მსახურობდა); ლადომ იქ კარგად შეისწავლა ოსური ენა, რომელიც შემდგომში ბევრჯერ გამოადგარ რევოლუციური კონსპირაციის დაცვის დროს.

კიევის სასულიერო სემინარიიდან გარიცხვის შემდეგ, ლადო კეცხოველი ისევ ჭავში დაბრუნდა. მას ახლო ურთიერთობა ჰქონდა ადგილობრივ მოსახლეობასთან და არც ერთ ხელსაყრელ მომენტს და შემთხვევას არ უშვებდა, რომ ხალხის ფართო მასებში ლენინის იდეები გაეცემოდნენ.

ჭავიდან თბილისში რომ წამოვიდა, ლადომ ორი ბიჭუნა — ამბაკო ცხოვრებოვი და იოსებ თედეივი წამოიყვანა. წავიყვან, სადმე სამუშაოზე დავაყენებ, რომ ღარიბ-ღატაკმა ბავშვებმა თავიანთი გზა გაიკაფონო, უთქვამს ლადოს.

გამოცდილმა რევოლუციონერმა ბიჭები თავიანთვე ჩააბა ბრძოლაში: ლადომ მათ ზურგჩანთები უყიდა, შიგ ტყვიაველ მეწისქვილესთან გადამალული შრიფტი ჩააწყო, თედეივი და ცხოვრებოვი მატარებელში ჩასხა და ძვირფასი განძი მშვიდობით ჩამოიტანა თბილისში.

ლადო კეცხოველმა პირობა შეასრულა, ბიჭებს რკინიგზაზე დააწყებინა მუშაობა, ჩამოტანილი შრიფტით კი ნაძალადევი არაღებულური სტამბა დააარსა და პროკლამაციების ბეჭდვა დაიწყო.

ლადო კეცხოველს არც შემდგომში გაუწყვეტია ოს თანამებრძოლებთან კავშირი. მათ იგი სისტემატურად უგზავნიდა „ისკრისა“ და „ბრძოლის“ ნომერებს.



ცხინვალის პიონერთა სასახლეში.

ცხინვალი. პედინსტიტუტის შენობის წინ.



ქაჯ. მს. კ. შარქსის  
სახ. სახ. რესპუბ.  
ბიბლიოთეკა

როდესაც ლადო მცეტის ციხეში ვერაგულად მოჰკლეს ქალათებმა, ნავთ-  
ქულის სადგურის მუშებმა გადაწყვიტეს, საიდუმლოდ თვალიერი ედევნებო-  
ნათ, თუ სად დაიპარებოდნენ ლადოს გვამს.

ამ მოთვალთვალეთა შორის იყო ამბაკო ცხოვრებოვიც, რომელიც თვალ-  
ცრემლიანი უთვალთვალებდა პოლიციელებს.

1945 წელს ლადო კეცხოველის იუბილეს მოსაშენებელი კომისია შეი-  
ქმნა. მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის მიერ შექმ-  
ნილ კომისიაში ამბაკო ცხოვრებოვიც შეიყვანეს. ამბაკომ კომისიას დიდი  
დახმარება გაუწია, რათა მგზნებარე რევოლუციონერის საფლავისთვის მიე-  
წოთ.

ლადო კეცხოველის მუხანათური მკვლელობა, ქართველ და სხვა ხალხებ-  
თან ერთად, მწვავედ ჯანიცადეს ოსმა მეგობრებმაც. აღსანიშნავია, რომ 1904  
წლის „სკრის“ № 20-ში ლადოს ხსოვნას მიძღვნილი წიგნიწველი წერილი,  
რომელსაც ხელს აწერდა დღემდე დაუდგენელი პიროვნება ფსევდონიმით —  
„ოსეტინ“.

1918 წლის მარტში ოსეთში შეიარაღებულმა აჯანყებამ იფეთქა. მენშევი-  
კებმა ცეცხლითა და მახვილით ჩაახშეს აჯანყება, მაგრამ უსამართლობის წი-  
ნააღმდეგ გაღვივებული წაღვრდალის ჩაქრობა შეუძლებელი იყო. ხალხის  
დაჭუბებული რისხვა დაუძლიველ ძალად იქცა. აჯანყებას აჯანყება მოსდევდა.

1921 წლის 25 თებერვალს თბილისში სოციალისტური რევოლუციის  
დროშა აფრიალდა, ქართველმა ხალხმა დაიმკვიდრა ბრძოლით მოპოვებული  
თავისუფლება. იმავე დღეებში სამხრეთ ოსეთის მშრომელებმა დაიკავეს ცხინ-  
ვალი და ოსეთში საბჭოთა ხელისუფლება გამოცხადდა.

1922 წლის 20 აპრილს სრულიად საქართველოს ცენტრალურმა აღმასრუ-  
ლებელმა კომიტეტმა და საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის  
სახალხო კომისართა საბჭომ ვაშოსცეს დეკრეტი სამხრეთ ოსეთის ავტონომიუ-  
რი ოლქის შექმნის შესახებ.

მომდევნო ათეული წლების მანძილზე აყვავდა და გაიფურჩქნა სამხრეთ  
ოსეთის ავტონომიური ოლქი. ოსი მშრომელები თავიანთ დიდ სასახედო გა-  
მარჯვებებს უმადლოან ლენინის სახელოვან პარტიას, რომელმაც მტკიცედ და  
განუყრელად შეაკავშირა ჩვენი ხალხები და დარაზმა ისინი კაცობრიობის წა-  
თიელი მომავლის — კომუნიზმის ასაშენებლად.

\* \* \*

ეს ქარხანა ცნობილია მთელ საბჭოთა კავშირში.  
აქ, ცხინვალის „ილექტროვიბრომანქანის“ ქარხანაში სერიულად უშვებენ  
სხვადასხვა ფორმისა და მოცულობის ილექტროვიბროაციულ მანქანებს, რომ-  
ლებიც აუცილებელია სხვადასხვა სამრეწველო ქარხნების ავტომატიზაცი-  
ისთვის.

ცხინვალში დაშენებული საუკეთესო ხარისხის მანქანები, მოძვე რესპუბ-  
ლიკების გარდა, მსოფლიოს 15 ქვეყანაში იგზავნება. სად არ შეხვედებით ოსი  
ოსტატების მიერ დაშენებულ ილექტროვიბროაციულ მანქანებს: ჩეხოსლოვა-  
კიაში, ინდოეთში, თურქეთში, კუბაში...

შესცქერით ქარხნის ეზოში გასაგზავნად ჩამწკრივებულ მანქანებს და გუ-  
ლი სიხარულით გვესმებათ. სამხრეთ ოსეთს დღეს შეუძლია იამაყოს თავისი  
ინდუსტრიით; აქ მუშაობს მომინანქრებული სადენების ქარხანა, ფერადი მე-  
ტალურების საწარმო, სამშენებლო მასალებისა და სასოფლო-სამეურნეო ნედ-  
ლეულის გადამამუშავებელი ფაბრიკები, ლითონისა და გრებილი ავეჯის სა-  
წარმოები...

ოსი მშრომელები თავდადებით შრომობენ სახალხო მეურნეობის ყველა  
დარგში, მარტო მცეტზე ხუთწლიდის პირველ წელს ოლქის მრეწველობამ გეგ-  
მის წევით 1.178 ათასი მანეთის პროდუქცია გამოუშვა. კიდევ უფრო გადიდე-  
ხული ვადადებულებები იკისრეს სამხრეთ ოსეთის მშრომელებმა ხუთწლიდის  
მეორე წელს. მათი გადაწყვეტილებმა სამრეწველო სასაქონლო პროდუქციის  
გამოშვებისა და რეალიზაციის გეგმა შესარულონ მან დეკემბრისათვის.

— ჩვენ სიტყვის გატეხვა, არ გვჩვევია, რასაც ვიკისრებთ, გავანადგობთ  
კიდევ, — ამბობს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, მჭიდვლი  
აღიქის გათიკოევი, — ჩემს ბრიგადაში სულ დარჩეული ბიჭები მყავს: სერა-  
ფიმ ჭიოევი, ფილიქს ლოქოევი, ივანე ჭიოევი, სოგრატ ტასოევი, ვიქტორ ქე-  
დისხაევი. გულიანად ებიძებოან საქმეს. ჩვენზე, მჭიდვლებზე ბევრი რამ არის  
დამოკიდებული. შეაფერხებ ლითონის წართობას, ანუ, ვთქვათ, სამწკრივებს  
დროულად ვერ მიაწოდებ წამხარებს და მორჩა, გეგმა ჩაგარდება! უღდა წვე-  
თებისაგან შესდგება, ჩემი ბრიგადის თავდადებული შრომაც საერთო ბრძო-  
ლის ნაწილია. ახლა თვითოეულ ჩვენგანზე დამოკიდებული, რომ თავი ვისახე-




ცხინვალის ქარხნის „მომინანქრებული სადენის“ წამყვანი საამქრო.

ცხინვალის სამეგრელო ფაბრიკის მოწინავენი.



სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, მჭიდვლი ალ. გათიკოევი.





სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მოწინავე ადამიანების ერთი ჯგუფი

ცხინვალი. ქარხანა „ვიბრომანქანის“ ინსტრუმენტულ საამქროში.



ცხინვალი. მეცნიერ-მუშაკები.



ლოთ და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი ხუთწლიდის ბოლოს პირნათლად წარადგეს სამშობლოს წინაშე.

\* \* \*

თავის სახელოვან იუბილეს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი სახალხო განათლების ფართო ქსელით იკვებება. აქ ამჟამად მუშაობს 167 დაწესებულება, 89 რვაკლასიანი, 48 საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა და 2 სკოლა-ინტერნატი, სამედიცინო და სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმები, საშხატრო და მუსიკალური სასწავლებლები. 1988 წელს ცხინვალში გაიხსნა სამხრეთ ოსეთის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი, რომელიც მაღალკვალიფიცირებულ კადრებს ამზადებს დაწესებულებით და საშუალო სკოლებისათვის.

საქვეყნოდ გაითქვეს სახელი ოსმა მეცნიერებმა, მწერლებმა, მხატვრებმა, კომპოზიტორებმა, კულტურისა და ხელოვნების სხვა დარგის მუშაკებმა.

ერთ დროს მწირი და დატაკი მხარე აყვავდა და გაიფურჩქნა. მთელი მიდამო აყვავებულმა ხენილმა, ზვრებმა, ბაღა-ბაღებმა და მეცხოველეობის კეთილმოწყობილმა ფერმებმა დაფარეს.

წარშან, ხუთწლიდის პირველ წელს სასახელოდ იშრომეს სამხრეთ ოსეთის კოლმეურნეებმა და საბჭოთა მეურნეობების მუშებმა. მათ სახელმწიფოს გეგმის წევით მიჰყიდეს 1.700 ტონა ხორბალი, 1.420 ტონა ხილი, 500 ტონამდე ხორცი, 1.400 ტონა ბოსტნეული და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები.

სამხრეთ ოსეთის მშრომელები არც წელს შეირცხვენენ თავს, მათ მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი ხუთწლიდის მეორე წელს აწარმოონ 15.945 ტონა ხორბალი, 196 ტონა ყურძენი, 2.467 ტონა ხორცი, 10.515 ტონა რძე, 10.400 ტონა ხილი.

\* \* \*

ჩვენ სოფელ დმენისში ვართ.

ერთი შეხედვითაც შეატყობ, როგორ ემზადება ხალხი დღესასწაულის შესახვედრად; დღესასწაულს ჩვენი ოსი მოქმეები ახალი შრომითი საჩუქრებით იკვებებიან.

უამინდობის მიუხედავად, დმენისელმა კოლმეურნეებმა ხუთწლიდის პირველი წელი წარმატებით დაამთავრეს. მაგრამ ის, რაც გუშინ წარმატებად ითვლებოდა, დღეს უკვე განვლილი იტაპია და ახალი ზედუდების დასაპყრობლად ახალი ძალა და ენერჯიაა საჭირო. წლიდანდელი წელი ახალი წარმატებით დაიწყეს დმენისელებმა. ჭირ კიდევ თებერვალი იდგა, როცა მათ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების კვარტალური გეგმები შეასრულეს.

მეცხრე ხუთწლიდის გეგმა ითვალისწინებს, რომ კოლმეურნეებმა ყოველწლიურად გაზარდონ ხილის, ყურძნის, მარცვლეულის, შაქრის ჭარხლის, პირუტყვის სულაძობა, აწარმოონ მეტი ხორცი, რძე, კვარცხი.

მიწის რეზერვები ამოწურულია. სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების გაზრდის ერთადერთი გზა საშექტარო მოსავლიანობის გადიდებაა. მაგრამ როგორ, რა გზებითა და მეთოდებით უნდა შესძლონ ამის გაკეთება? ცხადია, მარტო მონდამება და თავდადებული შრომა სასურველ ნაყოფს ვერ გამოიღებს, თუ მტკიცედ, მეცნიერულად დასაბუთებული საფუძველი არ ექნება მას.

კოლმეურნეობის თავმჯდომარეს თენგიზ ჭანაივს, მთავარ აგრონომს ინალი გაგივს, პარტორგანიზაციის მდივანს ჩირმენ კახულოვს, მოწინავე ბრიგადირს, სკპ XXIV ყრილობის დელეგატს გაიოზ ალბოროვს, კოლმეურნეობის მოწინავე აქტივთან ერთად, არაერთხელ უმსჯელოათ ამ საკითხებზე.

პირველი, რითაც კოლმეურნეებმა დაიწყეს — ეს იყო გონივრულად გათვალისწინებული თესობარუნვის შემოღება. ეს კი ცხადია, მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს ნიადაგის სტრუქტურას და მოსავლიანობაც საგრძნობლად მოიმატებს.

ბეჭითად, გულისყურით, გონივრულად და მონდომებით ეკიდებიან კოლმეურნეები თითოეულ დარგს, გულდასმით ზომავენ და ამოწმებენ თითოეულ დეტალს, ახალ-ახალ რეზერვებს იუენებენ, რომ რაც შეიძლება მეტი ხვავი და ბარაქა მიიღონ დედაბუნებისაგან.

აპრილის ნათელი მზე დაქაშკაშებს ღმინის ორდენოსან სამხრეთ ოსეთს. საკოლმეურნეო ზვრებსა და ხენილის ბაღებში, მინდვრებსა და ფერმებში თავდადებული, შემოქმედებითი შრომაა გაჩაღებული. სამხრეთ ოსეთის მშრომელები, მოქმე ქართველ ხალხთან ერთად, ძალასა და ენერჯიას არ იშურებენ, რომ ახალი სასახელო მწვერვალები დაიპყრონ და ღირსეულად გაატარონ ცხოვრებაში ჩვენი სახელოვანი პარტიის XXIV ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებანი.

ზაბალ გახსტირვილი.

ფოტო ს. თმვზაძისა და ი. დავითაშვილისა.

# მ ე ბ ო ბ რ ე ბ ი

მ ო თ ხ რ ო ბ ა

მეორე უბნის ბოქალური ივან კუზმას ძე ტობტი-გო ხასიათზე არ იყო. მოღუშული უჯდა საწერ მაგიდას. მის წინ ქაღალდების დასტა იყო დახვე-ბული. რატომღაც გულს ვერ უღებდა სამუშაოს ბოქალური, კალმისტარიც ხელიდან უვარდებოდა... წუხელ კლუბში სამ საათამდე თამაშობდა ბანქოს. უმოწყალოდ წავაგო! სამასი მანეთიდან ხუთი შუარიც კი აღარ შერჩა მეეტლის გასასტუმრებლად. იმ ძაღლის შვილმა ოლქის ექიმმა კი, სულ ცოტა, ათასი მანეთი მაინც წაიღო სახლში. მეტრედა როგორ მოსდიოდა, როგორ...

მოგებით გაბედნიერებულს ოცდახუთ მანეთს დაესესხა ტობტიგო, ეგების როგორმე ხელი მოვიბრუნო, მაგრამ უარი უთხრა იმ არამზადამ. სამაგიეროდ, ცხენზე თამაში შესთავაზა: ჩამოდი შენი ყაბარდოული, შენ ხომ ორას მანეთად იყიდე, მე კი ოთხასად გეთამაშებო, — სწორედ ასე უთხრა მან.

რალა თქმა უნდა, ასეთი რამ არასოდეს არ მოხდებოდა! შეიძლება ტობტიგომ ბანქოში წავაგოს პალტო, პერანგი, ყველაფერი, მაგრამ თავის ცხენს კი ვერ შეეღუვა. ის ურჩევნია, თვალახვეული თერგში გადახტეს ხილიდან, ვიდრე საყვარელი ცხენი დაჰკარგოს.

ამიტომ იყო სისხლი რომ მოაწვა თავში. მზად იყო იქვე ხმლით აეკუწა თავხელი ექიმის, მაგრამ ჭერჭერობით თავის შეკავება არჩია. სამი თითის კომპინაცია ცხვირთან მისჩარა და გაბოროტებით უთხრა:

— აჰა, წაიყვანე ცხენი!..

სიმართლე რომ ითქვას, ნამდვილად კარგი ცხენი ჰყავს ტობტიგოს. მთელს ოლქს სწორედ რომ თვალის რჩება მისზე. უნდა ნახოთ როგორი შურიანი თვალებით შესცქერიან ხოლმე ცხენზე მკდომ ბოქალს, რომელსაც დონიჯი აქვს შემორტყმული და ამაყად იყურება წინ. თვით ოლქის უფროსიც კი შურითა სკდება მისი ყაბარდოულის დანახვაზე... და აი, გამოხტა ვიღაც ცხვირმოუხოცავი ექიმი და თავხედურად სთავაზობს «ცხენზე ვითამაშოთო». უმალ ეზოში თუთის ხეზე ჩამოიხრჩობს თავს ტობტიგო, ვიდრე ასეთ რამეს იკისრებს.

კარის პრიალმა ქრებიდან გამოარკვია ბოქალური. ოღნავ შემოღეაულ კარებში თავშემოყოფილმა დენშიკმა მოკრძალებით მოახსენა:

— ბათირბეკი ჩამოვიდა!

— შემოვიდეს, — ხელი აუქნია ტობტიგომ და მონებრებულად მოეწყო სავარძელში. მაგრამ გულმა ვეღარ მოულოდინა, მაშინვე ფეხზე წამოიდა, კარებთან მოსულ სტუმარს მიეგება, მხრებზე წაავლო ხელი და კაბინეტში შემოუძღვა.

მის წინ ხმელ-ხმელი, მავარი, ფართო მხარბეკიანი ოსი იდგა. სწორ ტანზე მჭიდროდ ეკვროდა მოკლე ნაცრისფერა ჩოხა. ქამრის ერთ მხარეს ფართო ხანჯალი ეკიდა, მეორე მხარეს — დამბაჩა. ზურგიდან მოკლე თოფის ლულა მოუჩანდა. მხრებზე კი გარდივარდომ სავანეები ჰქონდა შემორტყმული.

შემოსულმა კაბინეტის კუთხეში მიაცუდა თოფი.

— დაჯექ, მეგობარო, დაჯექ, კარგა ხანია ერთ მანეთი აღარ გეინახავს, — აჩქარებით ამბობდა ივან კუზმას ძე და თან სავარძელს სთავაზობდა სტუმარს.

— დრო აღარ ითმენს, — ყრუდ მიუტო ბათირბეკმა, — ცხენებთან უნდა მივიდე... აი ნიშნები და ცხენების დამლა, — და ფანქრით ნაწერი ქაღალდის ნაგლეჯი გაუწოდა ბოქალს.

ტობტიგოს სახეზე ათამაშებული ღიმილი მაშინვე გაუქრა.

— ბათირბეკი! — რალაც განსაკუთრებული ტონით წამოიწყო მან, — ყური დამიგდე, კარგა ხანია მინდა ამისი თქმა...

რამდენჯერმე ჩაახველა, ხმა გაიწმინდა და განაგრძო:

— მე უფროსი ვარ. დიდი საშიშროება მელის, შენ კი რა გიჭირს: თუ საქმე გაიხსნა, მაშინვე ცხრა მთას იქით გადაიხვევები. ესეც არ იყოს, უკვე შეჩვეული ხარ ცინეში ყოფნას. მე კი დავიღუბები. სამუდამოდ დავიღუბები. და მეტრე რისთვის?... რალაც თხუთმეტი მანეთისათვის, რომელსაც შენ თითო ცხენიდან მაძღვე...

სახე მოელუშა ბათირბეკს, ხანჯლის ბუდეზე მოუსვენრად ათამაშა თითები. ბოქალური საჭირო კაცია მისთვის. იგი ამარაგებს დოკუმენტებით — ხელს უწყობს სრულ ფასში გაყიდოს მოპარული ცხენები. ვარდა ამისა, კვალის დაფარვაშიც ეხმარება. მაგრამ მისი ჰირვეულობა უკვე აუტანელი ხდება... პირველად შვიდი მანეთი მოითხოვა თითო მოპარულ ცხენზე, მეტრე ათამდე ასწია ფასი, ბოლო ხანებში კი უკვე თხუთმეტსა სცინცლავდა. როგორც ეტყობა, ახლა კიდევ უფრო გაზრდია მალა... საფასურს კი აბა რას აკეთებს ეს ვაჟბატონი? თითო ქაღალდზე რალაც სამიოდე წუთი ეკარგება, ესაა და ეს...

— არა, ივან კუზმიჩი, ეს შეუძლებელია! — მტკიცედ მოუჭრა ბათირბეკმა, — ნუ დავაიწყებდათ, რომ მე ყოველ წუთს ტყვიას ვუშვებ გულმკერდს.

ბოქალულმა თვლი აარიდა მის ბასრ გამოხედვას და მშვილად უბასუხა:

— შენ, მეგობარო, ბევრ რამეს არ ითვალისწინებ... აი თუნდაც შენი ციხიდან გაქცევა. მე რომ არ შემეწყო ხელი, ალბათ, იქ ჩაყრიდი ძვლებს; ვარდა ამისა, როცა შენ მოპარულ ცხენებს დასავლეთისაკენ მიერეკები, მე აღმოსავლეთისაკენ გადავნივ მდევარს... განა ყველაფერი ეს ანგარიშში არ შეიღებ?

— როგორ არ შედის, ივან კუზმიჩი, შედის, მაგრამ ურიგო არ იქნება, თუ შენც გაიხსენებ ზოგიერთ რამეს... ყაბარდოელმა ხაჯიშმა გიჩივლა. შენ თქვი „შური იძიეო“ და მე მთელი მისი ცხენები გავრეკე. მეტრე იყო, მეშვიდე უბნის ბოქალს წაეჩხუბე. შენი ბრძანებით მარჯვენა ხელი უნდა გამეხვრეტა მისთვის, მაგრამ ტყვიას ამიციდა და გულში მოვარტყი. შენს გამო დამედეგა ეს ცოდვა. ისიც გეხსოვება, ივან კუზმიჩი, როგორ ამაცობდა პოკურორი ივანტოვი თავისი ჩერქეზული ძროხით. და მე, ცხენის ქურდი, ახლა ძროხის ქურდიც გამხადე. ცოტა დარჩა, მდევარს არ ჩაუფარდი ხელში... მეც რომელი ერთი მოვთვალო... დაგიჩემებია ციხიდან გადაგარჩინეო... სამაგიეროდ ყაბარდოელმა შენთვის ისეთი ცხენი მოვიპარე, რომლის ფასი მთელს კავკასიაში არ მოიპოვება... ჩემთვის სასარგებლო კაცი ხარ, მაგრამ მეც საჭირო ვარ შენთვის. გინდა განვაგრძოთ ძველებურად, არა და შენი ნებაა.

ივან კუზმიჩი ჩაფიქრდა. ბათირბეკი, რასაკვირველია, მართალია, მაგრამ არც თვითონაა გასამტყუნი. მას ბევრი, ძალიან ბევრი ფული სჭირდება.

ბოქალულმა გადაწყვიტა, მტკიცედ მდგარიყო თავის სიტყვაზე.

— შეიძლება შენ მართალი იყო, ბათირბეკი, — თქვა მან, — მაგრამ ნადავლი მაინც სამართლიანად უნდა გავიყოთ. მომეცი ოცდახუთი მანეთი თითო ცხენზე და ორივე კმაყოფილები ვიქნებით...

თავის მხრივ არც ბათირბეკი აპირებდა დათმობას.

— თხუთმეტი, ივან კუზმიჩი, თხუთმეტი, მეტი არაფრის დიდებით არ შემიძლია.

— ოცდახუთსაც მომცემ, გესმის, ოცდახუთსაც, უჩემოდ დაიღუბები... არ მომცემ და ხელისუფალთა ხელში გადავცემ!

სიკვებ წამოერთო ბათირბეკის თვალები, მაგრამ მაშინვე ჩაქრნენ ისინი.

— თუ აღარ გინდა ჩემთან მუშაობა, მაშინ დავშორდეთ, მაგრამ აჯობებს კარგად დავშორდეთ,

თორემ ვინ იცის, ჯერ კიდევ როგორ მოტრიალდება საქმე...

დაფარული მუქარა გამოკრთოდა ბათირბეკის ხმაში.

ბოქალულმა ხმას აუწია.

— მოიცა, მოიცა გეთყავ, იქნებ გგონია ასე უბრალოდ დავშორდებით, — თქვა ტობტიგომ და მრავალმნიშვნელოვნად შეხედა კარს.

— კიდევ რა? — გამომწვევად იკითხა ბათირბეკმა.

— რაო და ახლავე ნახავ!

ივან კუზმიჩი წამოიდა, მაგრამ მაშინვე უკან დაიხია: ბათირბეკის ხელში დამბაჩა ელავდა.

— დაჯექი, ივან კუზმიჩი, დაჯექი, — რბილად, თითქოს დაყვირებით წამოთქვა ბათირბეკმა, — ხომ იცი, ხუმრობა არ მიყვარს. მხოლოდ ერთის წუთით დავაყოვნებ, მეტრე კი რაც გენების, ისა ჰქენი.

ბოქალური მძიმედ დაეშვა სავარძელზე, მისი ყოველგვარი ცდა ფუჭი გამოდგა.

ბათირბეკი კი მშვილად განაგრძობდა.

— ბათირბეკი ვარ, ყანალი, შენ კი ორმაგი ქურდი ხარ, თანაც ორმაგი ყანალი. შენ ქურდიცა ხარ და ყანალიც: თანაც ისეთი, ხანნიდან ჯამაგირის რომ იღებს... ქრთამებითა და წამგლეჯობით შენი უბნის თორმეტი სოფელი გააჩანავე... ეს კიდევ ცოტაა, მეტსაც გეტყვი: შენ ამხანაგადაც არ ვარგინარ, უბირო და გაუტანელი ხარ... წაეჩხუბე ამხანაგს — გაცემით ნულარ ვასციემ მაინც... მე არასოდეს არ გავცემი. შენ კი, რახან ვადაწყვიტე, ბარემ ბოლომდე მიიყვანე საქმე... ვნახოთ რა გამოვა აქედან...

ამ სიტყვებზე ბათირბეკმა თოფს წამოავლო ხელი. მეტრე ნაბადი მოიგდო მხრებზე და აუჩქარებლად გავიდა კაბინეტიდან. ერთხელაც კი არ მოხედა უკან, თითქოს არავითარი საშიშროება არ მოელოდა.

ივან კუზმიჩი ადგილიდან არ დაძრულა. უილაჯოდ ესევნა სავარძელში. ფიქრებში გართული მხოლოდ ცხენის ფლოქვების თქარათქურმა გამოარკვია.

— წავიდა ბათირბეკი! — მძიმედ ამოიქმინა მან. ივან კუზმიჩის ფიქრალაც არ მოსვლია ბათირბეკის გაცემა. იმეტომ კი არა, რომ სამარცხვინოდ თვლიდა ასეთ საქციელს. არა, მას მხოლოდ ეშინოდა საქმის გართულების. თუ ბათირბეკს დააპატრონებდნენ, მაშინ, ცხადია, ბოქალულსაც მოსთხოვდნენ პასუხს.

ივან კუზმიჩის მხოლოდ დაშინება უნდოდა ბათირბეკისა, მაგრამ საქმე სხვანაირად შეტრიალდა და ფულთან ერთად მან ბათირბეკიც დაჰკარგა... ვაგულისებული ახლა ვეღარც ოლქის ექიმზე იყრიდა ჭარხს. ბათირბეკს კი რაღაც გაუჭირდებოდა მისთვის რაიმე უსამაგებობის მიყენება.

დიდხანს ფიქრობდა ტობტიგო თავის შეცდომაზე, დიდადის ვეღარ დაიძინა ფიქრებში გართულმა. გამოლოცებისთანავე კი ისევ გუშინდელი უსიამოვნო შემთხვევა გაახსენდა.

— ეს რა მომივიდა, ეს რა გავაკეთე, თავი დავიღუბე, თავი, — ჩურჩულთი იძახდა იგი.

გულის გადასაყოლებლად ივან კუზმიჩმა ყავის შემდეგ ქალაქში ცხენით გასვირნება გადაწყვიტა. ის-ის იყო მუნდირის ცალ სახელოში გაუყარა ხელი, რომ წინ გაფითრებული დენშიკი აეტლუხა, ტუჩები უთრთოდა, ეტყობოდა, რალაცის თქმას აპირებდა, მაგრამ ენა ვეღარ დაემორჩილებინა.

სამხინელმა ეკვება გაუეღლა შეძრწუნებულ ბოქალს. მუნდირის მეორე სახელოში არც კი გაუყარა ხელი, ისე ჩაიბრინა კოხე და საკინობოს ეცა.

ცხენი აღარხდა იყო!

— ყელი გამომჭრა, ყელი, — განწირულივით დაიბრიალა ტობტიგომ და ორივე ხელი წაიშინა თავში. შემდეგ ძალაგამოღებული ჩაიკეცა იატაკზე. მოულოდნელად დენშიკმა შეპყვირა. გაშტერებული დააქერდა რალაცას.

ივან კუზმიჩმა წამოიწია და წამოძღა. იმ ადგილზე, სადაც ცხენს აბამდნენ ხოლმე, თეთრი კონვერტი დაინახა.

აქანკალებული ხელით გახსნა წერილი და ძლივს გაარჩია შემდეგი სიტყვები: „მომყავს შენი ცხენი. შენ მისი ღირსი არა ხარ. კოლვაა ღმერთის წინაშე, რომ ზედ ისეთი ღორი იჯდეს, როგორიც შენ ბრძანდები. შენ უფრო ის ცხენი შეგფერის, თერგადან წყალს რომ ეზიდება. მშვიდობითი ბ.“

გამოთავყვანებული თვალებით ერთხანს სივრცეში იყურებოდა ბოქალური. მეტრე თავში წაიშინა ხელები და ისევ აბდავლდა:

— ყელი გამომჭრა, უღანოდ... ყელი!

თარგმნა ოთხარ ღმინტრაშვილმა.

\* გამოჩენილი ოსი მწერლის, არსენ ქოცოთის (1872-1944) ეს მოთხრობა პირველად დაიბეჭდა გაზეთ „პრავდის“ ფურცლებზე, 1912 წელს.

# მოსახლელი თავის



## გიორგი კუპათი

(ბებიას ნამბობის მიხედვით)

ზამთარია. მთებში ქარბუქი ღმუის. თითქოს ვეება ცოცხიაო, ისე ხვეტავს წვრილ. ფხვიერ თოვლს, ვაშმაგებით ატრიალებს სოფლის ორღობებში, ზედ აყრის სახლების კედლებს და თავის გაგიუბულ, თეთრფაფრიან მერანს ხეობის სიღრმეში მიაქანებს.

სახლში გათოხილი შევდივარ. მაგრამ მხიარულ გუნებაზე ვარ და ვმდერი: იყინება ყვავი... ღმუის ქარიშხალი...

— ბებია გენაცვალოს, შვილო, — შეშფოთებულია ბებიაჩემი, — ნეტა რა გემდერება, ღამის ქარბუქმა წაგვიღოს!

— ასე უფრო მთბილა, ნანა, — ვეუბნები მოხუცს, ღუმელთან მივდივარ და ცეცხლს ვეფიცები.

მოხუცი წუთით ჩუმდება, და უცებ ხმადაბლა იწყებს ჩემს მიერ შეწყვეტილ სიმღერას:

მიუჩრდება კლდეზე  
ყრუ აული ნარი.

მე გაცეხული შევყურებ ბებიაჩემს.

— შენც იცი, ნანა, კოსტას ლექსები?

მოხუცს ეღიმიება. როგორც ჩანს, ერთნაირად წვდება კოსტას მოხუცისა თუ ახალგაზრდის გულს; ბებია თავმომწონედ მეუბნება:

— განა მართო ლექსები, შვილო? თვითონ კოსტასაც კარგად ვიცნობდი. მეც ხომ მასავით ნარიდან ვარ.

ამჭერად მე ხვეწნა აღარ დამპირებია, ნანა ხალისით მიყვება კოსტას ამბავს.

— მე და კოსტა ერთ სკოლაში ვსწავლობდით. მთელ სიცოცხლეში დამახსოვდა ისეთი, როგორც მაშინ იყო. ღამაში, მაღალი, თხელ-თხელი ბიჭი. დიდი. შავი თვალები და ქალიშვილივით წვრილი წელი ჰქონდა. ზოგჯერ გაირინდებოდა, მიაჩრდებოდა რაიმე წერტილს და ირგვლივ ახლობლებსაც კი ვეღარ ამჩნევდა. იდგა ხოლმე ასე საათობით ფიქრებში წასული და სიტყვას არა ძრავდა. სწორედ ასეთი მახსოვს დღემდე.

უკანასკნელად მაშინ ვნახე, როცა მისი მშობლები ახალ საცხოვრებელ ადგილზე გადადიოდნენ. მაშინ წესად გვქონდა მიღებული: თუ ვინმე სოფელს სტოვებდა, მასთან გამოსამშვიდობებლად ძვენითა და საჩუქრებით მივდიოდით. ჰოდა, განა ნახავდი ისეთ კაცს ჩვენს სოფელში, რომ ღვეანის ოჯახისათვის კეთილი მგზავრობა არ ესურვავა ჩვენში მუდამ უყვარდათ და პატივს სცემდნენ ხეთაგუროვებს, ყველას ახსოვდა მათი გულისხმიერება, პურმარალი, სიკეთე. ჩვენც, მე და დედაჩემმა, დედაწვეთ ხონჩაზე ხაზინები და ღვეანის სახლისკენ გავწიეთ.

კარებში კოსტას დედინაცვალი შემოგვეგება, საჩუქარი ჩამოგვართვა, მაღლობა გადაგვიხადა და ქალების ოთახში შეგვიპატიუა, სადაც ერბომოსხმული, დაბრაწული ქაღებითა და შავი, შუშუნა ღუმელით გავვიმასპინძლდა.

პატარა კოსტა სტუმრებს ემსახურებოდა.

დიასახლისი დედაჩემის გვერდით იჭდა, მაგიდის თავში და თავის გერს თვალს ადევნებდა. კოსტამ ორი მოხატულ-მოჩუქურთმული თასი შეავსო ღუმელით, ქალებს მიაჩრდა და ერთი ნაბიჯით უკან დაიხია. ქალებმა ერთმანეთი აღღვრებულს, თასები გამოცადეს და კოსტას დაუბრუნეს. მან კვლავ აავსო ბის თასები, მაგრამ დედაჩემმა აღარ გამოართვა თასი, აღერსიანად შეხედა და უთხრა:

— ეგ შენ დალიე, შვილო! ჩვენ, ქალები ვსვამთ, შენ კი კაცი ხარ... შენ ვაუკაცი უნდა გახდე.

ბიჭი დიდად უარობდა, მაგრამ დედაჩემი არ მოეშვა. მაშინ კოსტამ დარცხვენით შეხედა დედინაცვალს და თასი ძირამდე გამოცალა.

დიასახლისმა შუბლი შეიკრა და უკმეხად წარმოთქვა:

— ერთი შეხედო, წვეთიც რომ არ დატოვავ ბიჭო, რამდენჯერ უნდა გითხრა, სტუმრებთან საქმელ-სასმელს არ გაეკარო-მეთქი. რატომ არ გესმის ჩემი სიტყვა?

კოსტას ცრემლები მოერია, თვალდახრილმა ფრთხილად დადო მაგიდაზე თასი, ქამრიდან თექის ქული ამოიძრო, გადაპარსულ თავზე დაიხურა და ჩუმად გავიდა ოთახიდან. მე ტირილი მომინდა. მაგრამ ვერ გავებდე. წიწილასავით მიუუფული ჩუმად ვიწმენდი ცრემლებს კაბის სახელოთი.

ქალები ერთხანს დუმდნენ. ბოლოს დედაჩემმა დაარღვია სიჩუმე.

— ცუდად მოიქეცი, გენაცვალე! — უთხრა დიასახლისს, — ბავშვი ობოლია. ისედაც ღვთისგან დასჯილია და შენი კიცხვა უნდა? დედაჩემის სულს გეფიცები, სულ ჩამწარდა შენი პურმარალი!

კოსტას დედინაცვალი აწრიალდა.

— ღმერთს გეფიცები, ძნელია ობლის გაზრდა, მეზობელო! — წამოიძახა მან, — მით უფრო ამ ბიჭისა. ასე გგონია, ამ ქვეყნისა არ არისო. თუ მონდომა, რასაც გინდა გააკეთებს, ყველაფრის ნიჭი და უნარი აქვს. აი, თუნდაც ეს თასები მისი ნახელავია, ვინც კი ამ თასებს შეხედავს, ყველა გაცეხული რჩება, ყველას სურს მათი ხელში ჩაგდება. სურათები და ჩუქურთმები მათზე დანთაა ამოჭრილი, ბიჭს სხვა ხელსაწყო არცა აქვს. ხომ მართლა ღამაზებია? მაგრამ უბედურებაც ის არის, რომ ბიჭი ეშპაკის გზასა და მდგარი. აურევს თიხას, ზელავს, ზელავს თითებით. სადა აქვს ნეტა ამდენი მოთმინება, მერე კი ამ თიხისაგან რაღაც ქაჭებს ძერწავს. ეგ კიდევ არაფერი. დაჭდება წყაროს ნაპირას და ღმერთმა იცის, რას უგდებს ყურს წყლის ტალღების ხმაურში. რამდენიც გინდა ეძახე, ხმას არ გაგცემს, თითქოს სმენა დაუკარგავსო. ვეტყვი რამეს და გამოდის, რომ მე ბოროტი ქალი ვარ.


სანამ ქალები ღამაჯობდნენ, კოსტას მიერ მაგიდაზე დადგმული თასი ავიდე, თითქოს წონა არა ჰქონდაო, ყვავილის ფურცელივით მსუბუქი და მუქისპილენძისფერი იყო. მისი კიდეები თითქოს ერთმანეთისკენ მიიწვედნენ და ისე გეჩვენებოდა თასი ეს-ეს არის დაიხურებო. თხელ კედლებს ამშვენებდა ფაქიზად გაკეთებული ორნამენტი, რომელიც მნახველს აოცებდა ხაზების სიზუსტით. თასი გრძელ ფეხზე იდგა და თავდებოდა ხელისგულისოდენა დასადგმელით, რომელიც ისე გლუვი და სწორი იყო, მინისა გეგონებოდა.

აღარ მინდოდა თასი ხელიდან გამეშვა. მეკირა ხელში და ჩუმად, უსიტყვოდ ვეფერებოდი. ამასობაში ქალები ადგნენ, მე უხალისოდ დავდგი თასი. მძიმედ ამოვიოხრე და უკან აღარ მიმიხედავს, ისე გამოვედი გარეთ.

თარგმნა ანდრეას კუსრაშვილმა



# ნუ დაივიწყებ



# სსოპრუაქ სიღრუა

თუ ძმა ხარ, წამო მთებისკენ ჩქარა, ნუ დაივიწყებ მოძმის ჭირ-ვარამს. მზად იყავ, მისთვის ბრძოლაში მარად მთელი სიცოცხლის შესაწირავად.

თუ ძმა ხარ, მუდამ სულ წინ-წინ წადი, მართალს კეთილი სული გათხოვდეს. და ქვეყნად კარგი კაცობის მადლი ცრემლივით წმინდა თავს დაგნათოდეს.

თუ ძმა ხარ, ქებით თავს ნულა დადლი, იყავი სხვათა ფარი და ბურჯი, არ შეგიყვარებს არასდროს ხალხი, თუ შენი გული ბრმაა და მუნჯი.

თუ ძმა ხარ, მშობელ ხალხის და მხარის ტკივილი გულით ატარე მუდამ, სიკვდილის შემდეგ არა თქვას არცინ, იყოო ძუნწი, სიმართლე სძულდა.



თარგმან ლადო სულაბერიძემ.

სიმღერას ხალხის ცხოვრებაში აქვს დიდი ძალი, მისი მიზანიც ნათელი არის — ვით ცის ქუხილი, უნდა სტეჟდეს, გრგვინავდეს მარად და გაზაფხულის ელვასავით მომჭრელი თვალის ბასრი და მჭრელი უნდა იყოს, ვითარცა ხმალი. ბრძოლაც და შრომაც ჩვენ სიმღერით გვიადვილდება, ის დარდს გვიქარვებს, სულში შუქის იღვრება დვარად, ცოცხალ მეომრებს აძლევს იმედს, ხმატებს დიდებას, ხოლო დაღუპულთ — აღადგენს და უკვდავოფს მარად.

სწორედ ასეთი სიმღერები გულს ევანება, სწორედ ასეთი სიმღერები სულსა სწყურია, უყვავილებო გაზაფხული რას ემგვანება? — კაცის ცხოვრებაც უსიმღეროდ უფერულია.

მე და სიმღერა ერთად მივალთ, ჩვენს დიდ დროებას მხარდამხარ მივდევთ. გზას სიმღერის შუქი მფენოდეს! მე იგი არსად, არასოდეს მიუცხოება, ვცხოვრობ, რომ ქვეყნად გულით ვმღეროდე, ვმღერი, რომ დიდი იყოს ცხოვრება. და ვცხოვრობ ასე... ვერ მაშინებს სიკვდილის ცელი, თუმცა სიცოცხლის ზღვართან ელავს სულთამხუთეული. მე მხოლოდ ერთის მეშინია — სიმღერა ჩემი, ვაი თუ ბოლომდე დამარჩეს უთქმელი...

თარგმან თეიმურაზ ჯანაშულაშვილმა



— ტყუილად გადავიწყვეტია, — უბასუხა დათვმა, — ამ თანამდებობაზე შენ არ გამოდგები. — რატომ? — გაუყვირდა ბებერ მგელს. — მეც მაგ მგლების საგვარეულოდან არა ვარ? — ხარ, — დაეთანხმა დათვი, — მაგრამ მგელიც არის და მგელიც, მე ისეთ ბიჭები მჭირდება, ცხენიდან რომ კაცს გადმოიღებენ. — ჰოო! — ამოიოხრა ბებერმა მგელმა, — მართალი ხარ. მე მაგის გამკეთებელი ნამდვილად არა ვარ. ახალგაზრდობაშიც წესიერი კაცი ვიყავი. ნახე, როგორი დახასიათებები მაქვს. დათვმა წარბი შეიკუმუნხა. — შენ რა, ვერ გაიგე, რაც ვითხარი? მე ბასრი კბილები და მარდი ფეხები მჭირდება და არა დახასიათებები!.. მიმართე მერქვევობა-მესაქონლეობის ფერმის გამგეს, იქნებ ბედმა გაგიღიბოს და ძალლად მაინც აგიყვანონ...

## განათლებული მგელი

მგელი ცხვრებს მუსრს ავლებდა. უჩივლეს. დათვი გაბრაზდა, მგელი დაიჭირეს და ზოობარკში გამოამწყვდიეს — ჭკუას ისწავლისო. მაგრამ მგელი იქიდანაც გაიქცა. დათვმა ისევ ძველ თანამდებობაზე დააბრუნა. ცხვრებმა, თხებმა, ხარებმა და ძროხებმა ბლავილი ატეხეს, მოსვენება აღარ მისცეს დათვს. — აღარ გვინდა მგელი! აღრე იქნება თუ გვიან, ჩვენს სახსენებელს მოსპობსო. გაჯივრდა დათვი და უთხრა მათ: — რატომ ხართ ასეთი უმეცრები! აბა, შეხედეთ, ვანა ეს ის ძველი მგელია? ქალაქში ნამყოფია, განათლებული. ზოობარკში ასწავლეს, რომ სხვის საკუთრებას პატივისცემით უნდა მოეპყროს და საკუთარი შრომით უნდა იცხოვროს. მაგრამ ცხვრები, თხები, ხარები და ძროხები თავისას არ იშლიდნენ. — რა შუაშია ქალაქი, როცა ჩვენ მგელზე გელაპარაკებით? მაშინ დათვმა მგლის დახმარებით ხმა გააქმენდინა მათ — მგელმა ახლად-ნასწავლი მეთოდებით თვალისდახმამებაში გაწყვიტა ისინი.

თარგმან ლ. იაშვილმა.

## ოსური იბავეები

### ვასილ ცხოვარაბოვი

### დახასიათება

დათვი მწყემსებად მხოლოდ მგლებს ნიშნავდა. გაიგო ეს ამბავი ერთმა ბებერმა მგელმა და გამოცხადდა დათვთან. — გადავიწყვეტე მწყემსობა დავიწყო...

# პოეზია სიჭი

## მთხრობა

ბიჭი ჩქარობდა.. ჩქარობდა? ჩიტვით მიფრინავდა ქუჩაში, ფეხქვეშ ასფალტს ვერც კი გრძნობდა, არც შეუმჩნევია, როგორ აღმოჩნდა ავტობუსის გაჩერებასთან.

აქ კი უცებ შედგა, ჯიბიდან ქაბუჩათა ხელსახოცი ამოიღო, შუბლზე დახვითული ოფლი მოიწმინდა და საათზე დაიხედა. „ცვლა რამდენი ხანია დამთავრდა, აქამდე უნდა წამოსულიყო შინსაკენ“... — გაუელვა ფიქრმა. რამდენჯერ გამოუცილებია ამ გაჩერებამდე... იქნებ აქ არის? ავტობუსის მომლოდინე მგზავრებს გადაავლო თვალი... არა, გულო არსად არა ჩანს.

ამასობაში ავტობუსიც ჩამოდგა, მგზავრები რიგრიგობით აღიან, სხდებიან, ბიჭიც უნებურად უახლოვდება მანქანის კარს, იქნებ წამით წამზე გამოჩნდეს, ან იქნებ მოულოდნელად რაღაც საქმე გამოუვარდა და იმან შეაფერხა. „ეს წავიდეს და შემდეგ ავტობუსს მოვუცილო“, გაიფიქრა ბიჭმა, უნდოდა მოსცილებოდა მანქანის კარს, იქით მიმდგარიყო, რომ უცერად გულმა თითქოს შეიფრთხილაო, სასიხარულო მღელვარებამ მთელ სხეულს დაურბინა. ავტობუსს ჯერ ისევ სრულიად ახალგაზრდა ქალიშვილი უახლოვდებოდა, როგორი კარგი და თვალშიმთავრი იყო, როგორ უხდებოდა მსუბუქი, წინწყლებიანი კაბა. ისიც ჩქარი ნაბიჯით მოდიოდა. ნახად, თითქოს ეფერებო, ისე უწეწავდა ნიავი ხშირ თმას და ბიჭს ეჩვენებოდა, ფრთები გაუშლია და ჰაერში მოფარფატებდა. თავის საქმეში გართულმა შოფერმა მოტორი ჩართო, მანქანა აცახცახდა, ქალიშვილმა ნაბიჯს მოუმატა, მაგრამ ამოდ — ვეღარ მიუსწრო. მეტი გზა აღარ არის, შემდეგ ავტობუსს უნდა დაელოდოს.

ისინი მარტონი დარჩნენ გაჩერებაზე. ბიჭი ღელავდა... არა, დაბნეული არ იყო, მაგრამ არ იცოდა საიდან დაეწყო ლაპარაკი იმ ჩხუბისა და დამდურების შემდეგ. ქალიშვილმა კი, მოჰკრა თუ არა თვალი, რა თქმა უნდა, იცნო, მაგრამ ერთი სიტყვაც არ დასცდენია, იმავე წუთს დახარა წამწამები, დალუნა თავი, მხარი აუქცია და გაჰყვა გზას იქით, საითაც ავტობუსი წავიდა. „არ უნდა აქ, ჩემთან ერთად იცადოს“, გაიფიქრა ბიჭმა და მაინც შეეცადა ქალიშვილი შეეჩერებინა.

— გულო! — დაუძახა მან, თან მისკენ გაეშურა. — გულიკო! — ეკლავ რამდენჯერმე გაიმეორა მისი სახელი, მაგრამ ქალიშვილმა არც კი მოხედა, პირიქით, უფრო ჩქარი ნაბიჯით წავიდა.

... ხაზბი ჯერ თერამეტი წლისაც არ იყო, ფაბრიკაში რომ მოვიდა. იმ წელს მან თავის სოფელში, მალა, მთებში რომ არის ჩაქარგული, ათწლედი დამთავრა და ქალაქში წამოსასვლელად დაიწყო მზადება. მოხუც პაპას, ძარახს ამის გავონებაც არ უნდოდა, მას სურდა საყვარელი შვილიშვილი გვერდითა ჰყოლოდა... თვითონ გაზარდა ბიჭი, კაცად აქცია და იმაზე უფრო სანატრელი მთელ ქვეყანაზე არავინ ეგულვებოდა. მამა არა ჰყავდა ხაზბის, ფრონტზე დაეღუპა, ხოლო დედა ხსოვნითაც არ ახსოვდა, ორი წლისა იყო ბიჭი, როცა დედა გარდაცვლიდა. ობოლს დედობა ბებიამ გაუწვია და მამობა — პაპამ. იმათ გამოიყენეს ხალხში და აქამდე მოხუცებისათვის ხაზბის ჯერ სიტყვა არ შეუბრუნებია; ახლა კი ბიჭმა ძალიან მტკიცედ და გადაწყვეტილი თქვა:

— არა, პაპიკო, მუშაობა მინდა დავიწყო!

— მერე და, შვილო, განა აქ, მთებში, ცოტა სამუშაო? კოლმეურნეობაში საქმეს რა გამოიღვეს?

— ვინ ამბობს, ცოტაა... მაგრამ მე რა მინდა, იცი?... როგორ გითხრა, დამაცა, აგისხნი... ფაბრიკაში მინდა მივიღე... იქ ბევრი და სხვადასხვანაირი მანქანებია...

ამაზე უფრო უბრალოდ ვერ აუხსნა ხაზბიმ თავის პაპას, თუ როგორ იტაცებდნენ მას შორიდან რთული და ჭკვიანი მანქანები... ტექნიკა მას ჯერ ისევ სკოლაში, სასკოლო სახელოსნოში შეუყვარდა თავდავიწყებით და გადაწყვიტა ინჟინერი გამხდარიყო.

— მერე, ფაბრიკაში ინჟინერი როგორ გახდები?

— განა მარტო ვიმუშავებ, იქვე ვისწავლი კიდეც...

პაპამ ვეღარაფერი უხასუსხა, გაჩუმდა მოხუცი. და აი, ხაზბი უკვე ფაბრიკაშია შეგირად. ხანში შესულმა ოსტატმა უმაღ შეამჩნია, რომ ბიჭს საოცარი ალღო და მიხვედრა ჰქონდა. და ისინი მალე დამეგობრდნენ. კმაყოფილი ოსტატი ხალისით გადასცემდა მოსწავლეს თავის ცოდნასა და გამოცდილებას, და ბიჭიც კარგად ითვისებდა ყველაფერს, რასაც ასწავლიდნენ. ხაზბი დაკვირვებით უცქეროდა ოსტატს, როცა ის მანქანას დასტრიალებდა თავს, და ცდილობდა დახმარებოდა, თითონაც რაღაც გაეკეთებინა. სულ ცოტა ხანი დასჭირდა ბიჭს, რომ ვარკვეულიყო რთულ მექანიზმებში, წლინახევრის შემდეგ იგი საამქროს ოსტატის თანაშემწედ დანიშნეს, ახლა კი უკვე ოსტატია. არც თავისი ოცნება დაიწყებია ხაზბის — დაუსწრებლად სწავლობდა პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, ახლა უკვე მესამე კურსზე იყო. საამქროში ყველას უყვარდა, ფაბრიკაში — პატივსაცემად, აფასებდნენ, მუდამ მოწინავეთა შორის ასახელებდნენ... და მუდამ, როცა შეაქებენ ხოლმე, ყველაზე ადრე ჰაბუტი თავის ოსტატს გაიზო თოფჩივილის გაიხსენებს, აღარ იცის როგორ გადაუხადოს მადლობა... როგორი უბრალო, გულამდე ჩამწვდენი სიტყვა აქვს ოსტატს...

— შენ ჩემი შვილი უნდა იყო! — უთხრა ერთხელ ოსტატმა თავის მოწაფეს, როცა მან დავალებდა კარგად შეუსრულა. იმ საღამოს ოსტატმა ხაზბი შინ წაიყვანა და ბიჭი მის ოჯახში იმას მერე შინაურით იყო.

ასე იზრდებოდა ახალგაზრდა ოსტატი. რაღა უნდა კაცს ამაზე მეტი? გულში კი როგორ მიატრია, არც კი გაეძრახა. ისე ჩაუარა გვერდით!

ქალიშვილთან პირველი შეხვედრა გაახსენდა ბიჭს, გაახსენდა როგორი იყო გულო, როცა ის პირველად დაინახა.

ეს ორი წლის წინ იყო. ისინი საამქროში შეხვდნენ ერთმანეთს, საქსოვი დაზგის გვერდით. გულო ის-ის იყო დაეყენებინათ დაზგასთან, ძალიან გამოცდილი მქსოველი წვრთნიდა მას, გალინა გუსევა. ხაზბი კარგად იცნობდა წარჩინებულ მქსოველს, მაგრამ მისი მოწაფე ჯერ თვალთაც არ დაეინახა, მისი არსებობაც კი არ იცოდა. თანაც გულო მაშინ ერთი პატარა, სიფრიფანა გოგო იყო, მორცხვი, გაუბედავი. უთქმელი და ამიტომ თითქოს არც კი ჩანდა ამ ვეება საამქროში. ბიჭი კი ამ დროს ბატონივით ამაყად დადიოდა ამ აზრიანებულ მანქანებს შორის, უკვე ოსტატი იყო და მთელი ბრიგადა ებარა. მერე როგორი ბრიგადა?! წარჩინებული, გამარჯვებული, კომუნისტური შრომის ბრიგადის სახელის მოსაპოვებლად რომ იბრძოდა.

ხაზბის როდი გაუტყვირდა, საქსოვ დაზგასთან ეს ჩიტვით გოგო რომ დაინახა.

— რატომ გაგიჩერებია მანქანა? — მწყურალდ იკითხა მან.

— ძაფი გაწყდა... — ჩუმად, გაუბედავად უთხრა გოგომ და თავისი სუფთა თვლები რაღაც ვედრებით და ხეწვნით შეანათა ბიჭს. რა დაავიწყებს ხაზბის იმ შემოხედვას... მისთვის არასოდეს არავის ასე არ შეუხედავს. ალბათ, ამიტომაც ჩარჩა გულში სამუდამოდ.

ბიჭი მიუახლოვდა, უფრო დაკვირვებით ჩახედა სახეში, თხელი გოგო იყო გულო, ლამაზი, ბავშვით საყვარელი, მოსაფერებლად და საალერსოდ რომ გეძახის. მაგრამ ახლა ამაზე ფიქრის დრო არ იყო — ქალიშვილი იდგა და დახმარებას ელოდა. და ხაზბიმაც ისევ დაიწყო:

— ძაფი გაგწყდა? გადააბი და გაუშვი მანქანა... თორემ, ვაცდენას ზარალი მოსდევს, გაიგე?

მაგრამ ქალიშვილმა ვერაფერი ვერ გაიგო, ის მარტო იმას ხელებოდა, რომ ეს შეფერხება ძაფის ბრალი არ იყო, მასასადამე, მანქანას დაუზიანდა რაღაც. რამდენჯერაც გადააბა ძაფი, იმდენჯერ გაწყდა. ძლივს აუხსნა თავისი ეს გაჭირვება უცნობ ჰაბუტს, და მაშინ კი დაიკაიფა ხაზბიმ ხელები, რამდენიმე წუთის იფათურა მანქანაში, მერე ჩართეს იგი და გახარებულივით წავიდ-წამოვიდა წაგრძელებული მაქო აქეთ-იქით.

გულომ თავისუფლად ამოიხსნა... გოგოს სახე რომ გაუნათდა, ხაზბიმ ჰკითხა:

— საღაური ხარ?

— ტინისხიდელო... აქ, ახლოა ჩვენი სოფელი, — როგორღაც დაბნეულად უხასუსხა გულომ.

ამის შემდეგ ხაზბი ხშირ-ხშირად მოინახულებდა ხოლმე გულოს დაზგას, ჰკითხავდა როგორ არის მანქანა, ხომ არაფერი უტყრისო, და წავილდა.

ერთხელ გულო გაუთამამდა ბიჭს და გალიმბულმა, თითქოს ხუმრობით ჰკითხა:

— სულ მანქანას რომ ჰკითხულობ, როგორ არისო, სხვას აქ ვერავის ხედავ?

ხაზბი ამ კითხვას არ ელოდა, დაიბნა და ვერაფერი უხასუსხა.

და მართლაც, განა დაზგა ეძახოდა თავისკენ, არა, ქალიშვილის დანახვას მოინატრებდა ხოლმე მისი გული... აგრე, აგრე... — გამოუტყდა ბიჭი თავის თავს, — რას მალავ, ხომ ვიცი რა ძალა გამოგწევს ხოლმე აქეთ... პირველად დაფიქრდა ჰაბუტი ამაზე და მიხვდა, რომ ძალიან უნდოდა დაემარტოხელებინა ქალიშვილი, გადაეხსნა მისთვის თავისი გული, ეძებდა შემთხვევას, მაგრამ ვერა და ვერ მოიხელთა სალაპარაკოდ.

დრო კი მიდიოდა, გულო იზრდებოდა, უფრო მშვენივლოდა, ახლა ის უკვე დამოუკიდებლად მუშაობდა საქსოვ დაზგაზე და ჯერ ექვს მანქანას ემსახურებოდა, მერე — რვას. სულ ახლახანს კი სიტყვა მისცა ბრიგადას — თორმეტ დაზგას გაუძღვებო. ახლა ის უკვე წარჩინებული მქსოველი იყო. გოგოს სითამამეც მოემატა, ახლა ხაზბი მისთვის ტლო იყო, მეგობარი და არა ვილაც უცნობი. წარბმევირული ოსტატი, რომელსაც ძლივს გაუბედავ გამოლაპარაკებდასაც კი.



# აკადემიის ოსი სტუდენტები

თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიამ, ქართული საბჭოთა ხელოვნების მნიშვნელოვანმა კერამ, რომელმაც შესანიშნავი კადრები აღუზარდა ქართულ ეროვნულ კულტურას, იმავე დროს, დიდი ამაგი დასდო მოძვე ხალხთა შვილების აღზრდასა და გამოწრთობის საქმეს. ამჟამად აკადემიაში ათასამდე სტუდენტი სწავლობს. მათ შორის არიან ქართველები და რუსები, აფხაზები და ოსები, დაღესტნელები და ინგუშები, აზერბაიჯანელები და სომხები, უკრაინელები და ებრაელები...

თბილისის სამხატვრო აკადემიაც, მისი დაარსების დღიდან (1922 წელი) გასული წლის გამოშვებამდე დაამთავრა 100-ზე მეტმა ოსმა ახალგაზრდამ. ისინი წარმატებით მუშაობენ მხატვრულად როგორც სამხრეთ, ისე ჩრდილოეთ ოსეთის, აგრეთვე საბჭოთა კავშირის სხვადასხვა რესპუბლიკების საკონსტრუქტორო ბიუროებში, ფაბრიკა-ქარხნებში, მოდელების სახლებში, თეატრებსა და კინოსტუდიებში.

ამჟამად თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის სხვადასხვა განყოფილებებზე სწავლობს 26 ოსი ახალგაზრდა, მათ შორის, ფერწერის განყოფილებაზე — პ. ხასიევი, ლ. კოსოვეი, რ. სანაკოვეი, თ. ალბოროვი, ვ. ბიზაროვი (კათედრის გამგე —

სსრ კავშირის სახალხო მხატვარი, პროფ. უ. ჯაფარიძე). დაზგური გრაფიკის განყოფილებაზე — უ. გაბარაევი, ხ. კოკოვეი, პ. გუჩმაზოვი (კათედრის გამგე პროფ. ვ. კეშელავა). სამარწველო გრაფიკის განყოფილებაზე — ზ. ტყევეი (კათედრის გამგე დოც. ზ. ლეჟავა).

პედაგოგიის განყოფილებაზე — თ. მარგიევი, ზ. კაზიევი (ხელმძღვანელი მ. კაშია).

არქიტექტურის განყოფილებაზე — ნ. ელკანოვი, ზ. მუზაევი, (კათედრის გამგე — დოც. მ. ჩხიკვაძე). ზ. მუზაევი მიმდინარე წელს ამთავრებს არქიტექტურის განყოფილებას, მისი სადიპლომო თემა: „სამხრეთ ოსეთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დაგეგმარება“.

კერამიკა-მინის განყოფილებაზე — შ. მედლოვი, ხ. ბეკოვეა, ნ. აბაევი, ზ. მულდაროვი (კათედრის გამგე პროფ. გ. ქართველიშვილი).

სამარწველო კონსტრუქციების და ტრანსპორტის განყოფილებაზე — გ. გაგლოვი (კათედრის გამგე დოც. ნ. ლოლობერიძე).

ხისა და ლითონის მხატვრული და მუშავების განყოფილებაზე — მ. გუბაევი (კათედრის გამგე ვ. ხიმშიაშვილი).

ინტერიერის განყოფილებაზე —

ფ. ბაგაევი, კ. ძევისოვა, ხ. კოზაევი, ხ. სანაკოვეი (კათედრის გამგე დოც. დ. ბაქრაძე).

საბჭოთა საქართველოს აღორძინებაში, ლენინურმა ეროვნულმა პოლიტიკამ ამ ახალგაზრდობას შეუქმნა წარმატებითი სწავლის ყველა პირობა. მათ განაგრძობენ ახალი ცხრასართულიანი შენობა, მზიანი აუდიტორიები, უმდიდრესი ბიბლიოთეკა, ლაბორატორიები, სახელმწიფოები; მათ ასწავლიან ქართული ხელოვნების გამოჩენილი ოსტატები. აკადემიაში, სხვადასხვა ერის სტუდენტთა შორის სუფევს მეგობრობა, ურთიერთსიყვარული, და რაც მთავარია, ერთიმეორესადმი უღრმესი პატივისცემა, შემოქმედებით დისკუსიებში კი — პრინციპული კამათი, მეგობრული რჩევა-დარიგება, რაც ხელს უწყობს ახალგაზრდობის შემოქმედებით დაოსტატებას.

ინტერიერის განყოფილების V კურსის სტუდენტმა სხარბეგ კოზაევმა განაცხადა: „ჩერ ისევ საშუალო სკოლის მეთავე კლასში ვსწავლობდი, როცა ვახზე იაკობ ნიკოლაძის „ჩახრახაძის პორტრეტი“. ამ ქმნილებამ მომხიბლა, გადავწყვიტე აუცილებლად შევსულიყავი სამხატვრო აკადემიაში“. კოზაევი წელს დაიცავს სადიპლომო შრომას ინტერიერისა და ექსტერიერის პრობლემებზე. კოზა-

ევმა, გარდა მშობლიური ოსური ენისა, კარგად იცის ქართული ენა; როგორც აქტიური საზოგადოებრივი მუშაკი, არჩეულია სტუდენტთა ქალაქის მეთავე კორპუსის სტუდენტთა საბჭოს თავმჯდომარედ.

ორგანიზატორად და საინტერესოდ იწყებს თავის შემოქმედებითს გზას V კურსის სტუდენტი სტანისლავ სანაკოვეიც. უფროსი კურსების სტუდენტთა 1971 წლის სიმპოზიუმზე ინტერიერის ორგანიზატორი პროექტის შედგენისათვის მას მიენიჭა პირველი პრემია და დაჯილდოვებულ იქნა ტურისტული საგზაოთი გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში სამოგზაუროდ.

ფერწერის განყოფილების პირველი კურსის სტუდენტი პ. ხასიევი ოცნებობს შექმნას ფერწერული ტილოები ილია ჭავჭავაძისა და კოსტა ხეთაგურავის ნაწარმოებთა თემებზე. მას უკვე მრავალი ესკიზი აქვს, რომლებიც ამ მწერალთა გმირებს გამოსახავენ.

თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია კვლავაც დიდი გულისხმიერებით აღუზრდის მოძვე ოს ხალხს სხვადასხვა პროფილის მაღალკვალიფიციურ მხატვრებს.

სიმონ ნაციაშვილი.

სამხატვრო აკადემიის დოცენტი

ბიჭმა კი მოსვენება დაკარგა, იდგა დაზვასთან და გულოს სახე ედგა თვალწინ, იმას შეპლიმოდა, შეპხარადა, შორიდან, უთქმელად, უსიტყვოდ ეფერებოდა.

და ბოლოს გაუმხილა თავისი გულის ყველაზე დიდი და სანუკვარი საიდუმლო.

გულოს არასოდეს დაავიწყდება ის წუთები. ახლა მისი ფიჭვი ერთ დიდ ტბილ ოცნებად იქცა, ეს მომავალზე ოცნება იყო, და ის მომავალი ხაზების გარეშე ვეღარ წარმოედგინა. სულ მალე დღესასწაული იქნება, შინ, თავის სოფელში დაპატივებს ხაზბის, რა თქმა უნდა, მეგობრებთან ერთად. უთხრა კიდევ ხაზბის — ტინისხილში უნდა წაგიყვანო. როგორ გაუბრწყინდა ბიჭს თვალები. წაიყვანს კიდევ, მაგრამ რა ნენა მიდის დღეები, როდის დადგება ეს დღესასწაული... ნეტავ რას იტყვიან დედა, მამა, ხაზბის რომ დაინახავენ? მოეწონებათ? ეს-ლა იყო გულოს საფიჭვრალი.

მაგრამ ყველაფერი უკუღმა შეტრიალდა; პატარა ბავშვებით წაეჩხუბნენ ერთმანეთს და ახლა, გოგოს მისი დანახვაც აღარ უნდა. არა, საჩხუბარი როგორ არ იყო! ვინ გაპატივებს ასეთ რაქსს? იმ საღამოს ზღბიში გულო კინოში დაპატივია, ადგილიც დაუნიშნა, აცდევინა, აცდევინა და თითონ კი მობრძანება არ იკადრა. ეწყინა გულოს — აბა ვინ იქცევა ასე! რა იცოდა, რომ თურმე მეორე ცვლაში ქალიშვილებს მანქანა დაზოიანებოდათ და ვიდრე ოსტატი შეაკეთებდა, კარგა დრო გავიდა. მეორე დღეს ხაზბის უნდოდა აეხსნა ყველაფერი გულოსათვის, თავის მართლება დაიწყო, ქალიშვილმა არც კი მოუსმინა, ეგ კი არა, ეკვიანობა კი დაიწყო — აქაო და კარგად ვიცით, ვაუბატონო, იმ ქალიშვილებს რა მანქანაც გაუტყდათო. არაფერი არ დაუჭერა ბიჭს, და გაბრაზებული წავიდა.

მას მერე გულო ხმას აღარა სცემს ბიჭს, ისე ნაწყენია, ისე... ენით არ გამოითქმის.

ხაზბი მწარედ განიცდიდა ამ განზოგებას, და სულ ხელსაყრელ შემთხვევას ეძებდა, ყველაფერს აუფხსნი და გამოიგებსო. ახლაც ამიტომ მორბოდა აქეთ, ავტობუსის გაჩერებაზე, გაეცილებს სახლამდე, შემირიდგებაო.

გულომ კი ხმაც არ გასცა, ავტობუსსაც აღარ დაუცადა და ფეხით წავიდა.

სხვა დროს ხაზბი იქნებ ვერც გაბედავდა მიახლოვებოდა დამდურებულ ქალიშვილს, მაგრამ დღეს... ჰო, სწორედ დღეს, ასე გახარებული რომ არის, უფრო აუტანელი ჩანს ეს წყენა და სამდურავი. დღეს ხაზბის ყველაფერი უნდა უხაროდეს, მის ბრიგადის კომუნისტური შრომის საპატიო სახელი მიანიჭეს... სულ ახალი ამბავია და ფაბრიკაში ყველამ არც კი იცის! როგორ მოიჩქაროდა ესარებინა გულოსათვის, მან კი, ზედაც არ შეხედა.

მაშ ვილას გაუზიაროს თავისი სიხარული, ვინ ეგულება ქვეყანაზე მასზე უფრო ახლობელი ადამიანი!

... თითქოს შეუმჩნეველად მოვიდა პირველი მიისი... ირგვლივ ყვავილები, ზეიმი... ყველას სადღესასწაულოდ აცვია, ყველა მხიარულია, ბედნიერი, ხალხით სავსეა ქუჩები. ხაზბიც ადღუმდიან ბრუნდება; ჩაფიქრებულია ბიჭი, სულ იმას ცდილობს გაიგოს რა ხდება ქალიშვილის გულში, ცდილობს და ვერ მიხვდება... ახსენდება ის წუთი, გაჩერებასთან რომ გადაეყარა გულოს, და ასე ცივად, უცნობეზივით ჩაუარეს გვერდით ერთიმეორეს.

ნუთუ სამუდამოა ეს განზოგება? ნეტავ სად არის ახლა გულო?

სად არის, სად? უცებ მისი ჩურჩული ჩავსმა. არა, ეს ნიავი ეთამამება ხეთა მწვენე ფოთლებს... მაშ, ქალაქის ბაღთან გამოსულა. ფეხი შეაჩერა, ბაღში შეუხვია.

ბედნიერება ხანდახან იქიდან მოდის, საიდანაც

არ მოელი. ბიჭი ისევ მძიმე ფიჭვი იყო, როცა თვალმა ოდნავ მოლანდა — ჩაუფადა იდგნენ ვილაც ქალიშვილები. სახეებს არც დაპკვირებია. უცებ ერთმა მათგანმა რაღაც გადაულაპარაკა მეგობრებს და მისკენ გამოსწია. ის არის? ჰო, სწორედ ის არის, გულო მოდის აქეთ. ალბათ, ახლაც მაშინდელივით ისევ ცივად ჩაუვლის გვერდით. არა, არა, მისკენ მოდის, აი უკვე სულ ახლოს არის, გაჩერდა და ისევ იმ მავედრებელი თვალეზით შეხედა, როგორც მაშინ... სულ პირველად... შეხედა და თქვა:

— მოგილოცავ ხაზბი! დღესასწაულსაც გილოცავ და შენს გამარჯვებასაც. შენ არაფერი მითხარი, მე კი გავიგე, როგორ ისახელეთ თავი... — აღარ დაამთავრა, შეხედა ბიჭის ანთებულ თვალებს და დაუმატა: — მაპატიე, ტყუილ-უბრალოდ ვაწყენინე, გოგობმა ყველაფერი მითხრეს.

— გულიყო, შენა ხარ? — გაოგნებულივით წამოიძახა ბიჭმა.

— მაშ ვინ იქნება? — გაიცინა ქალიშვილმა.

— ჩემო კარგო გულო! — მეტი ვეღარაფერი მოახერხა ჰაბუქმა; ქალიშვილმა მის სათნო თვალებში უცებ წაიკითხა, რომ არასოდეს ფიქრდაც არ მოსვლია მასზე გაბრაზებულიყო.

— ახლა კი წავიდეთ, ჩვენთან წავიდეთ. გახსოვს, მე რომ დავპირდი წაგიყვან-მეთქი...

სიხარულით აუტყვარდა გული ჰაბუქს, როგორ გაუხარდება გაიოზს, თავის შვილობილის ბედნიერებას რომ შეიტყობს... ისინი ხომ შეთანხმდნენ ერთად ესტუმრონ გულოს მშობლებს, გაიოზი ყანწს ასწევს და ჭირველ სადღეგრძელოს ის იტყვის...

ისინი ხელხელჩაკიდებულნი მიდიოდნენ, და მზეც, ხეებიც, მთელი ქვეყანა შეპხაროდა მათს ბედნიერებას.

თარგმნა გიორგი ნატროშვილმა.

ნ. კაბისოვი —  
პირველი მატარებელი  
ცხინვალში



ს. ჯეირანაშვილი — ნატურმორტი.



ბ. გასიევი — დოღი.



ბ. გასიევი — ოსეთში.

# „ახალი გულის, ახალი ბუჩის, მოძრაობა ჩანგი ოსეთის“

გალაკტიონ ტაბიძე



ცხინვალის მუზეუმი.



ანსამბლი „სიმღი“.



სვენაზე გამოსვლის წინ

რეპეტიციაზე.

ფოტო ი. დავითაშვილისა და ს. თევჭაძისა.



სვენა ცხინვალის თეატრის სექტაკლიდან.





ბ. წაწაკოევი — გაზაფხული.

გამოყენებითი ორნამენტული ხელოვნება, რომლის ოსტატები ამკობდნენ საყოფაცხოვრებო საგნებს, ლითონის დამუშავება, ხეზე კვეთილობა, ქარგვა უკვე შორეულ წარსულში ოსეთში ფართოდ იყო გავრცელებული; ამ ხალხური ხელოვნების ტრადიცია დაედო საუძვლად ახალი ოსური სახვითი ხელოვნების აღორძინებას.

დიდი ოსი პოეტი და პროზაიკოსი კოსტა ხეთაგუროვი, იმავდროს, ბრწყინვალე ფერმწერალი იყო (ხატავდა უმაჯრესად პეიზაჟებსა და უანრულ სურათებს); მის ქმნილებებში ნათელი გამოხატულება ჰპოვა ხალხის კეთილშობილურმა მიწრაფებებმა, ხალხთა ძმობისა და მეგობრობის იდეებმა.

კოსტა ხეთაგუროვი იყო და არის ბრძენი მასწავლებელი ოსი პოეტებისა და მხატვრების ახალი თაობებისათვის.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველი წლებიდანვე დაიწყო სამხრეთ ოსეთის სახვითი ხელოვნების ნამდვილი აღორძინება, დღეს ოსეთის მხატვრები — ფერმწერლები, გრაფიკოსები, მოქანდაკეები თავიანთ ქმნილებებში გამოხატავენ ჩვენი ეპოქის მოწინავე ადამიანების — კომუნიზმის მშენებლების შთაგონებულ სახეებს, ჰქმნიან სურათებს როგორც წარსულის, ისე თანამედროვე ცხოვრების თემებზე.

აქ ჩვენ ვაქვეყნებთ სამხრეთ ოსეთის მხატვართა ცალკეული ნაწარმოებების რეპროდუქციებს.

გ. ლოგუზოვი — ჭავის ხეობა.



ს. მინასოვი — გეოლოგები მთაში.



ჭერ კიდევ ოცი წლისა არც კი ვიყავი. როდესაც მწერალთა კავშირის საქმიანობაში ჩავები, — დავუახლოვდი ლიტერატურულ წრეებს, განსაკუთრებული პატივისცემით ვხვდებოდი ქართული ლიტერატურისა და საზოგადოებრივი აზროვნების გამოჩენილ, ხანდაზმულ მოღვაწეებს — ნიკო ნიკოლაძეს, ვასილ ბარნოვს, დავით კლდიაშვილს. ეკატერინე გაბაშვილს, შიო არაგვისპირელს, ანასტასია ერისთავ-ხოშტარიას, კოტე მყავიშვილს; ნიკო შიუქაშვილს და სხვებს.

წარმოება მქონდა ხელოვნების სხვა დარგების გამოჩენილ მოღვაწეებთანაც. ბევრჯერ შევხვედრივარ ზაქარია ფალიაშვილს, ვასო აბაშიძეს, ვალერიან გუნიას, გიგო გაბაშვილს, მოსე თოიძეს, ვანო სარაჯიშვილს და კოტე მარჯანიშვილს.

უინტერესო არ იქნება ადვადგინო ზოგიერთი მნიშვნელოვანი დეტალი ამ შეხვედრებიდან, გავიხსენოთ ზოგი რამ ამ სახელოვანი მოღვაწეების მიერ ნათქვამიდან.

## ნიკო ნიკოლაძე

ნიკო ნიკოლაძე პირველად ვნახე ქართველ მწერალთა ყრილობაზე, მწერალთა სახსლზე. ყრილობის პრეზიდიუმში იჭდა. ერთი შეხედვითაც ცხადი ხდებოდა მეცხრამეტე საუკუნის სამოციანელთა უკანასკნელი მოპიკანის სიბრძნე და გონიერება. ეცვა თეთრი შალის კიტელი და შარვალი; ისე კი რაღაც ბიბლიური გარეგნობა ჰქონდა. მთელი სხდომა განმავლობაში არ განძრულა; წლებს იგი ვერ მოეხარა მხრებში. უხდებოდა თოვლივით თეთრი წვერ-ულვაში ლამაზ სახეზე. ვისაც უნახავს მისი ახალგაზრდობის სურათი, იტყვოდა: „წლებს მაინდამაინც არ შეუცვლია მისი გარეგნობა“. ამის მიზეზი ისიც იყო, რომ მას ცხოვრების მკაცრი რეჟიმი ჰქონია თავიდან. რაიმე განსაკუთრებული შემთხვევების გარდა, იგი უეჭველად საღამოს თერთმეტ საათზე დაწვებოდა დასაძინებლად.

დიდად საინტერესო იყო ნიკო ნიკოლაძის საუბრების მოსმენა; მას თითქმის ყველაფერი ნათლად ახსოვდა თავისი ცხოვრების წარსულიდან — ვისთან ჰქონდა შეხვედრები, ხასიათი ამ შეხვედრებისა, რა საგანზე იყო მსჯელობა. ყოველივე ამაზე იგი მუდამ ხალისით გესაუბრებოდა, მოხუცი დაუზარებლად მოგვითხრობდა ახალგაზრდებს თავისი მდიდარი ცხოვრების ამბებსა და შემთხვევებს. მის საუბარში პირდაპირ ცოცხლდებოდნენ ვიქტორ ჰიუგო, ჩერნიშევსკი, ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი და სხვები; ჩერნიშევსკისადმი პატივისცემა მას ბოლომდე შერჩა. იგი არა ერთი გზის აღნიშნავდა, რომ ეს დიდი რუსი მოაზროვნე კეთილშობილებისა და პრინციპულობის სრული განსახიერება იყო, მასავით მოუდრეკელ ადამიანს ბევრს ვერ შეხვდებით მსოფლიო აზროვნების ისტორიაში. ჩერნიშევსკი ქართველ ახალგაზრდებს, რომლებიც პეტერბურგში ვსწავლობდით, გულისხმობით გვეპყრობოდა, გვეხმარებოდა რჩევა-დარიგებებით და გზას გვკაფავდა, მისმა სიტყვებმა და ნაწერებმა გააღვიძეს მრავალი სტუდენტის გონება.

ნიკო ნიკოლაძე ქართველი მოღვაწეებიდან დიდად აფასებდა ილია ჭავჭავაძეს. მას ერის დიდებას უწოდებდა.

რამდენიმეჯერ ნიკო ნიკოლაძესთან ოჯახში მომიხდა მისვლა ვახტანგ კოტეტიშვილთან და სიმონ ხუნდაძესთან ერთად. სიმონ ხუნდაძე ამაღლებდა მონოგრაფიას ამ გამოჩენილ მოღვაწის შესახებ და აგრეთვე ზრუნავდა მისი ნაწერების შეგროვებასა და გამოცემაზე, სთხოვდა წყაროებს, თუ სად იყო დაბეჭდილი მისი წერილები, გამოსვლები, გამოკვლევები. მოხუცს კარგად ახსოვდა თითქმის ყველა ურჩალი და გაზეთი, რომლებშიც იგი თანამშრომლობდა მთელი ნახევარი საუკუნის მანძილზე.

## დავით კლდიაშვილი

დავით კლდიაშვილი გარეგნულად დიდ შთაბეჭდილებას არ ახდენდა: პატარა ტანის, თხელი კაცი იყო, ეცვა პაგონებმოხსნილი სამხედრო ტანსაცმელი. ხშირად ვხვდებოდი ოპერაში, ღირეკციის ლოჯიაში. უკვე ღრმად მოხუცებულს, მაინც დიდი ინტერესი შერჩენოდა მუსიკისადმი.

ანტრაქტების დროს დავითი შეუსვენებლად ესაუბრებოდა ლოჯიაში თავმოყრილთ. იგი ამბობდა: „სიმღერა ყოველთვის მიყვარდა, მას ვთვლიდი ხელოვნების უმაღლეს სახეობად... როცა ვისმენ „აბესალომ და ეთერს“ ან „აიდას“, თითქოს სხვა სამყაროში გადავდივარ, ვშორდები ყოველდღიურობას, თავს ისე ვგრძნობ, თითქოს ახალგაზრდა ვიყო. მუსიკალური ნაწარმოების მოსმენის შემდეგ მემატება სულიერი სიმშვიდე და მსვენობა“.

შემდეგ საუბარი გადადიოდა ქართულ მწერლობაზე; დავითი იხსენებდა შეხვედრებს აკაკი წერეთელთან. „აკაკი განსაკვირვებელი ნიჭის პატრონი იყო, მას ბევრი ისეთი ლექსი აქვს, რომლებზედაც ხელს მოაწერდა რომელიც გნებავთ გენიოსი. მრავალი მისი ლექსი ლოცვახავეთ მაქვს წარმოდგენილი“. „იმავე მოგახსენებთ, რომ აკაკის პატარა მოთხრობებმა და სატირულმა ნაწარმოებებმა მე გამიადვილეს საკუთარი შემოქმედებითი გზის პოვნაო“, დასძინდა ხოლმე მოხუცი მწერალი.

მახსოვს დავით კლდიაშვილის იუბილე. მე ვიყავი საიუბილეო კომიტეტის მდივანი. თითონ იუბილარი იმხანად თავის მშობლიურ სოფელში — სიმონეთში იმყოფებოდა, ავად იყო. შვილი, ჩვენი ცნობილი მწერალი სერგო კლდიაშვილი ჩავიდა სოფელში დავითის თბილისში ჩამოსაყვანად. თავის ფრიად საინტერესო მოგონებებში სერგო კლდიაშვილმა დაწვრილებით აღწერა ეს ამბავი. მის იუბილეს ოპერის თეატრში აუარებელი ხალხი მოაწყდა, თვითონ დ. კლდიაშვილს თითქმის უპირდა ლაპარაკი, იჭდა სავარძელში ისე, თითქოს მას არ შეეხებოდა, რაც თეატრში ხდებოდა.

ხშირად მინახავს რუსთაველის პროსპექტზე ერთად მიმავალი დავით კლდიაშვილი და ვასილ ბარნოვი. თავიანთი ბუნებით და ხასიათით ისინი სრულ კონტრასტს წარმოადგენდნენ. დ. კლდიაშვილი — ჩქარი, მოუსვენარი, სწრაფად მოსაუბრე იმერული აქცენტით, ვ. ბარნოვი კი დინჯი, ძველი, არქაული ქართულით მოსაუბრე.

## გერონტი ქიქოძე

გერონტი ქიქოძე თავისი მიმზიდველი გარეგნობითაც გამოხატავდა კეთილშობილებას, დიდ ნიჭსა და გულკეთილობას. უჩა ჭაფარძის ნახატი კარგად გადმოგვცემს მის შინაგან სამყაროს.

გერონტი ტკბილი და სასიამოვნო მოსაუბრე იყო. მშვიდი, დაბალი ხმით საუბრობდა თვით ურთულესი მოვლენების შესახებ. საზღვარგარეთ ყოფნისას მას მოსმენილი ჰყავდა ბრწყინვალე ორატორები, რომლებიც დიდი პათოსით ლაპარაკობდნენ; მიუხედავად ამისა, იგი მაინც ამჯობინებდა დამშვიდებულად ესაუბრა და ამით უფრო მეტ შთაბეჭდილებას ახდენდა ყველაზე.

მას სძულდა ყოველგვარი შაბლონი. მაშინაც კი, როდესაც იგი რთულსა და მწვავე პოლიტიკურ ან ფილოსოფიურ პრობლემებზე მსჯელობდა, ცდილობდა ახალი კუთხით, ორიგინალური მხრით შეხებოდა საკითხებს. მას ყოველთვის თავისი გამოკეთილი შეხედულება ჰქონდა, ამ შეხედულებას იგი პირდაპირ გამოთქვამდა, მიუხედავად იმისა, დეთანხმებოდნენ, გაიზიარებდნენ თუ არა მას.

გერონტი ქიქოძე ენციკლოპედიური განათლების ადამიანი იყო. იგი არ იყო შემოწმდული ერთი რომელიმე დარგით. მისთვის მახლობელი და გასაგები იყო სულიერი ცხოვრების მრავალი დარგი. მისი ნაშრომები შეეხებ-

# შეხვედრები მწერლებთან


ბიან ფილოსოფიას, ესთეტიკას, კრიტიკას, მხატვრობას, ქანდაკებას, ლიტერატურას, ისტორიას, ფსიქოლოგიას, სოციოლოგიას და პოლიტიკას.

თავისი თანამედროვე ქართველი მწერლებიდან გერონტის ყველაზე მეტად ვასილ ბარნოვი და ვალაკტონ ტაბიძე მოსწონდა. თავის ცნობილ წერილში „ვასილ ბარნოვის ფილოსოფიისათვის“, იგი წერდა: „ის (ე. ი. ვასილ ბარნოვი) ქართული ლიტერატურის ისტორიაში დარჩება არა მარტო როგორც დიდად ორიგინალური მხატვარი, რომელსაც სრულიად თავისებური პოეტური მეტყველება ჰქონდა, არამედ უღრმესი მოაზროვნე“. ამ თავისებურ მწერალს გერონტიმ რამდენიმე წერილი მიუძღვნა. ერთი მათგანი გამოაქვეყნა ადრე, ჭერ კიდევ რევოლუციამდე.

როდესაც ვალაკტონ ტაბიძეზე ჩამოვარდებოდა საუბარი, გერონტი განსაკუთრებით ხაზგასმით აღნიშნავდა ამ შესანიშნავი პოეტის ლირიკის მუსიკალობას. ასეთი ნაწი, მღერადი, მუსიკალური ლირიკოსი თითქმის სხვა არ გვეყოლიაო.

გერონტი ქიქოძე თავისი ქვეყნის დიდი პატრიოტი იყო. გარდაცვალებამდე არც თუ ისე დიდი ხნით ადრე შევხვდი ქალაქის პირველი საავადმყოფოს ეზოში. ამ საავადმყოფოში მძიმე ოპერაციის შემდეგ იგი მკურნალ ექიმთან დადიოდა. ეტყობოდა სიარული უპირდა და სკამზე ისვენებდა. შემომთავაზა დაქლომა თავის გვერდით. დიდხანს ვისაუბრეთ მწერლობაზე, პოლიტიკურ ამბებზე, საოჯახო საქმეებზე. როდესაც შევეკითხე მის ქანმრთელობაზე, ხელი ჩაქნია: „დიდხანის სიცოცხლე აღარ დამჩენიაო, სიკვდილის არ მეშინია, მაგრამ ჩვენი ლამაზი ქვეყნის, მისი განუმეორებელი ბუნების დატოვება მენანებაო“.

გერონტი ქიქოძის სახელი მარად დარჩება ქართველი ხალხის სულიერ ცხოვრებაში, როგორც ერთ-ერთი მისი გამოჩენილი მოღვაწისა, კეთილშობილი რაინდისა, ქვეყნის გულმზურვალე პატრიოტისა.



### ბონდო ქაშალავა

#### იზრიალი ქარო

აზრობს ქარშოში ჩაღის კონებს დაჩერგილებულს, ცხოვრობს მებაღე მთის მახლობლად ადგილს დიდებულს. ის მყუდროების სიყვარულმა და ცივმა წყარომ აქ დაასახლა... შემოდგომის შენ ქარო წყნარო ნუ გაავდები, ნუ იმძლავრებ, შუილი შენი დაწნეილ ხეხილს, უხილავი ხელებით შევლის. ფოთლის ფარფატით ნაყოფს ფრთხილად მოეფერები, თვალებს დაატკობს ქარვისა და ვარდის ფერები.

#### ის ჯადო ქრება

ის შემხვედრია ცივ წყაროსთან, გზაზე, ცაბცებთან, თუ გავხდებოდი მასთან მარტო საუბრის ღირსი, როგორღაც უცებ ხედოთ მიგდებდა, მაცაცხებდა შავი, ღამაში, მომწუსხველი თვალები მისი. ჩვევად არ მქონდა კისკისი და სიტყვით თამაში, ტოლებთან ხშირი შეხვედრები და დროსტარება, თუ მოიწყენდა, წამწამებით ფარავდა მათ მშვენიერ თვალებს, გიქრძალავდა მათ ნეტარებას. ის დრო, ის ჯადო ქრება თურმე, არ მეორდება, თითქოს უეცრად გაუცურდა ხელიდან ხვითო. ოთახს, აივანს, კარმიდამოს როდი შორდება და სინანულით შეპყრობილი ცაბცებებს თვითონ.

#### ნუ მემშუქრება

მოუსვენრობა დაგებდა, მოუსვენრობა, მოუსვენრობის ჩაუქრობელ ცეცხლი ტრიალებს. მოუსვენრობა მოგინებებს, მოუსვენრობა, სიმშვიდე აღარ გეღირსება, — ვიდაც ღრიალებს...

ნუ მემშუქრები, იქნებ გჭერა მე მწყდება გული, იქნებ გგონია მუხლს მოვიყრი, გთხოვ შებრალებას. არ მწამს, არ მიყვარს ძე კაცისა დამშვიდებული, ვინც წუთისოფლის დღის და ღამის წვას ექრძალება.



# ს ა ნ თ ე ლ ი

მინიატურა

ეგდო სადღაც, კუთხეში, მიტოვებული. არ გრძნობდა არაფერს.

აიღეს.

მიუტანეს ანთებული ასანთი.

თვალები გაუბრწყინდა ალის და-ნახვაზე.

ასანთმა მყისვე გადასდო და მანაც აიტაცა იგი. იწყო ხტუნვა, ცეცხლობა, აღტაცებაში მოიყვანა საკუთარმა განათებულმა სხეულმა.

აღს ხან მარცხნივ სტყორცნის, ხან მარჯვნივ, ხანაც — ზევით.

მაგიდას ყვითელი წვეთი დაეცა.

— ვაი! — დაიძახა და ნახა, ცრემლი იყო მისი. მერედა იგრძნო, სხეული ეწვოდა.

შეშფოთდა.

ცდილობს მოიშოროს წუთის წინ ატაცებული ალი, მაგრამ ის ეურჩება. კვლავ აწყდება სივრცეს ხან მარჯვნივ, ხან მარცხნივ და უმწეოს რაღა დარჩენია ტირილის მეტი! ცრემლები დაბალუბით ეცემა ძირს. საშველად მიმოავლო თვალი ირგვლივ.

ახლავა შემჩნია ქაღალდებთან ვიდაც კაცი, ხელში კალამი ეჭირა.

— ნეტავი რას აკეთებს იმ ბნელში? — და თავის სხეულს დახედა ამაყად.

ამ დროს კაცმა ახლოს მიიწია სანთელი. ფურცლები გასხივსნდა და წერას შეუდგა.

— მე გავანათე, თურმე მე გავანათე!

გაუხარდა.

იწყო ისევ თამაში აქეთ და იქით. ტანი კვლავ ეწვის. იღველდება შემჩნეულად.

— უი?! რა პატარა დავრჩი! — შესძახა უცებ. მართლაც, ერთიციცქნადა იქნებოდა. გული დასწყდა.

აი, წამიც და გაქრება მისი სხეული. უკანასკნელად მაინც ათამაშა ალი. — მაღლა, რაც შეიძლება მაღლა! ალიც შეხტა, რაც შეეძლო, გაფართოვდა.

სანთელმა გადახედა პოეტს, დარწმუნდა, უკანასკნელად კარგად გავუნათეთ და ჩაქრა.

მაგიდაზე კი დატოვა ყვითელი, ნაწამები ცრემლები...

დალი სოზაშვილი

## ი. გრიშაშვილის უცნობი ბარათები

საიათნოვას ქართული ლექსების ავტორგაფები, სამწუხაროდ, ჩვენამდე არ მოღწეულა, საიათნოვას ლექსები ზეპირად დადიოდა ხალხში და პირველ ხანებში არავის არ შეუცრებია.

ცნობილია, რომ საიათნოვას რამდენიმე ქართული ლექსი თავის დროზე იოსებ გრიშაშვილმა მიიკვლია სხვის ხელნაწერებში; მან შეკრიბა და მოიძია სულ 28 ლექსი, ათი გადმოწერა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ხელნაწერებიდან. სამი გადმობეჭდა ი. ჭავჭავაძის „ივერიიდან“, ხოლო თხუთმეტი — პეტერბურგის სააზრო მუზეუმის ხელნაწერებიდან.

ქვემოთმოყვანილი წერილის ადრესატი, იოსებ ყიფშიძე 1914 წლიდან ქართული საეთნოგრაფიო, საზოგადოების წევრი იყო. თუმცა იგი იმ ხანებში ძირითადად პეტერბურგში იმყოფებოდა, მაინც მხურვალე მონაწილეობას იღებდა ხსენებული საზოგადოების მუშაობაში; ი. გრიშაშვილისაც სწორედ მისთვის მიუზარათავს თხოვნით:

ქვემოთ მოგვყავს ი. გრიშაშვილის წერილი ი. ყიფშიძისადმი:  
„ტფილისი, მარტის 18, 1916 წ.

პატივცემულო იოსებ!

ეს-ეს არის სერგო გორგაძემ გადმომცა, რომ თქვენ შეგიტყობინებით საიათნოვას შესახებ მარის აზრი, რომელსაც განზრახვა ჰქონია საიათნოვას შესახებ კრებული გამოეცა! ამას გარდა, რაც ყველაზე უფრო საინტერესოა, თურმე მარს ჰქონია ქართული ლექსები საიათნოვასი, რომელიც დღეს იშვიათი საშოვარია! მე შევეკრიბე საიათნოვას შესახებ ყოველგვარი ცნობა, თუ რა მნიშვნელობა ჰქონდა საიათნოვას საქართველოს ცხოვრებაში და ლექსები კი სულ 14 აღმოვაჩინე ქართულად. ხელა შეინტერესება: იქნებ ამ ჩემ მიერ ნაპოვნი ლექსების ვარიანტია!.. ყოველ შემთხვევაში ძალიან დამავალბებთ, თუ მარს სთხოვთ და ლექსებს გამოგზავნიებთ „სახალხო ფურცლის“ რედაქციაში, ჩემს სახელზე... სერგო გორგაძემაც ასე მიჩნია!.. თუ გსურთ მაშინ ჩემს ლექსებს და ჩემს მასალას საიათნოვაზე, თქვენ გამოგზავნით: მარს აჩვენეთ და დეე თვითონ თავის არტიკულტურით ააშენოს ერთ წიგნად ჩემი მასალები...

ყოველ შემთხვევაში, ჩემი აზრი ის არის, რომ სომეხი საიათნოვა, ქართველებსა და სანთელის საინტერესო იყო, რის ღირსიც, ალბათ, არის. პატივისცემით

ი. გრიშაშვილი“.

როგორც ჩანს, ნიკო მარს, იოსებ ყიფშიძის მეშვეობით, ი. გრიშაშვილისათვის გადაუცია ლექსები, რისთვისაც გრიშაშვილი მას საპასუხო წერილით მიმართავს:

„ტფილისი, 14 აპრილი, 1916 წ.

პატივცემულო იოსებ!


მივიღე თქვენ მიერ გამოგზავნილი საიათნოვას ლექსთა რეგული. გმადლობთ. უღრმესი მადლობა აგრეთვე ჩვენს სახელოვან მეცნიერ მარს, რომ ღირსად მცნო და თავისი ხელით გადაწერილი რეგული მათხოვა. ზოგიერთი ლექსი აქაც არის, ქ. შ. წ. კ. მუზეუმში, მაგრამ სხვა ლექსის შესახებ, რომელიც სხვადასხვა ენაზეა ნაწერი, ის ლექსი მეცა მაქვს, მაგრამ სხვა ვარიანტია. ეს ლექსი ვპოვე ქ. შ. წ. კ. ხელნაწერში № 2385, რომელსაც ქვეშ აწერია: დასრულდადა ყაფაი ოთხი ენისა... სხვადასხვა ვარიანტია! ეს ლექსი მით უფრო საინტერესო იქნება, რომ სამი ენის ნაცვლად ოთხი ენა ყოფილა შიგ. ამას გამოკვლევა უნდა და ეს კი ჩემი საქმეა? მე მხოლოდ ვკრეფ, ვარიანტებს ვაღარებ ერთმეორეს, წინასიტყვაობას ვწერ ბიოგრაფიის ყაიდაზე. ლექსიკონს ვურთავ ბოლოში ზოგიერთი სიტყვის ასახსნელად, ჩემს მიერ შეკრებილ „ყარაჩოლულ ლექსიკონის“ განმარტებით და დანარჩენი კი — თუ კიდევ რამეა გასაკეთებელი — ეს ჩემს უნარს აღემატება და ბოღიშს ვიხდი!.. კიდევ მადლობა, დიდი მადლობა. ი. გრიშაშვილი“.

(ყველა ეს დოკუმენტი დაცულია გ. ლეონიძის სახელობის სახელმწიფო ლიტერატურულ მუზეუმში, ი. ყიფშიძის ფონდში).

ასე ჩაეყარა საფუძველი საიათნოვას ქართული ლექსების პირველ გამოცემას, რომელსაც დიდმა ქართველმა პოეტმა და კეთილსინდისიერმა მეკვლევარმა ი. გრიშაშვილმა განსაკუთრებული ამაგი დასდო.

ლამარა ხელაძე

# შეშველვა სიჭაბუკესთან



## პლ. უჩაილინი

მალი, ჰარმაგი მამაკაცი ყურადღებით აკვირდება ახალგაზრდა მეომრის სურათს. პორტრეტული მსგავსება აშკარაა...

ასე ხედება ბრესტის ციხე-სიმაგრის მემორიალური კომპლექსის ერთ-ერთ სტენდზე აღექსანდრე კალანდაძე თავის სიჭაბუკეს. სურათს ქვემოთ გამოფენილია ვაზ. „პრავდის“ 1944 წლის 4 ოქტომბრის წერილი „საბჭოთა ბატალიონის გმირობა სამხრეთ საფრანგეთში“. ორჯერ, სამჯერ, ზედიზედ კითხულობს ამ სტრიქონებს ა. კალანდაძე და იგონდება წარსული.

მე უნებლიე მოწმე ვიყავი ამ სცენისა და მსურდა ბირად აღვცნობოდი ბუგისპირა ციტადელის სახელოვან დამცველს. კალანდაძის შესახებ ძალიან ბევრი რამ ვამეგონა და წამეკითხა, ბევრი რამ ვიცოდი, ბირად აღვცნობოდი შეხვედრი.

ლიტს, უფლება არ მაქვს არ გაგიზიაროთ ეს ამბავი.

1941 წლის 22 ივნისის ცეცხლოვანი განთიადი. მერე ბრძოლები... ბრძოლები... ბრძოლები... ახალგაზრდა ოფიცერს შუახანა არ გაუგდია, სანამ დატრიალი და გონივრული მტერმა ხელთ არ იგდო. მერე უილა-პაღლიასკას ბანაკის მეთუღბლართე... გაქცევა... კვლავ დატყვევება და ლუბლინის ციხეში გამოწყვედვა. იქ ბევრი წამება გადახდა თავს. შემდეგ „საშიშ დამნაშავეთა“ ჯგუფთან ერთად საღდაც დასავლეთისკენ გზავნიან. გზაში კალანდაძე და მოსკოველი ნიკოლაი ლენინი ახერხებენ გაქცევას. ეს მოხდა ლოდის მახლობლად.

დაღლილი, იარებიანი საბჭოთა მეტრძოლები დილით ადგილობრივმა მცხოვრებლებმა შეიკედლეს. მათივე დახმარებით დაამყარეს კავშირი იატაკქვეშელ პოლონელ მეტრძოლებთან, პატრიოტი-ანტიფაშისტებთან.

ყვამ იფეთქა. ტყვეებმა მცველები დახოცეს, იარაღი გაიტაცეს და გაიქცნენ. უჩუკვილის მახლობლად, ტყეში რამდენიმე რაზმი მოგროვდა. ასეულის კომისრად ერთხმად აირჩიეს კალანდაძე.

ორიოდე დღის შემდეგ ასეულმა მძიმე ბრძოლა გამოართა დამსჯელ ექსპედიციას.

ათასობით ქალმა, მოზარდმა და ბავშვმა ტყეს შეაფარა თავი, რათა გერმანიაში არ გაერეკათ. დამსჯელებს განზრახული ჰქონდათ მკაცრად გასწორებოდნენ მათ, მაგრამ პარტიზანები გმირულად დაუხვდნენ ფაშისტ ჯალათებს. იყო მსხვერპლიც, და მეორე დღეს სამომო საფლავმა მიიბარა საფრანგეთის თავისუფლებისთვის დაღუპულ ათობით მეტრძოლის ნეშტი. იქვე დაკრძალეს ინტერრაზიული პოლონელი სტასეკიც.

წინ კი ახალი ბრძოლები ელოდათ. რაზმი ბატალიონამდე გაიზარდა. ბატალიონმა, რომლის კომისარიც ა. კალანდაძე იყო, გაათავისუფლა კარმო, ალზი, კასტრი, ტულუზა. 1944 წლის 4 ოქტომბერს გაზეთი „პრავდა“ აღწერდა, თუ როგორი აღფრთოვანებით შეხვდნენ ფრანგები თავიანთ განმათავისუფლებლებს. ქალაქის მცხოვრებნი ეხვეოდნენ „ამ ადამიანებს, რომლებსაც მიუხედავად მძიმე განსაცდელისა, არასოდეს დაუკარგავთ მხნეობა, სამშობლოს გამარჯვების რწმენა და ბოლომდე ვაჟკაცურად იბრძოდნენ ფაშისტების გასანადგურებლად“.

ზედმეტი არ იქნება ვავისხნოთ პარიზის სამხედრო გუბერნატორის, საფრანგეთის შინაგანი ძალების ყოფილი სარდლის კენიგის 1945 წლის 5 ივნისის ბრძანება № 293, აღექსანდრე კალანდაძის სამხედრო ჯვრითა და ვერცხლის ვარსკვლავით დაჯილდოვების შესახებ: „დიდად მამაკაცი ოფიცერი, რომელიც, შეუერთდა რა საფრანგეთის პარტიზანულ მოძრაობას — „მაკის“, თავის რაზმს მუდამ ვაჟკაცობის შესანიშნავ მაგალითს აძლევდა“.

... ომის ქუხილმა გადაიარა, მაგრამ აღექსანდრე კალანდაძე მაშინვე არ დაბრუნებულა შინ. იგი საბჭოთა სამხედრო მისიის მეკავშირე ოფიცრად დანიშნეს. რამდენიმე თვის შემდეგ, როდესაც მშობლიურ ქართულ მიწას დაადგა ფეხი, ალბათ, ამ ოთხი წლის მანძილზე პირველად მოერია ცრემლი. და ეს იყო სიხარულის ცრემლი.

ამჟამად აღექსანდრე კალანდაძე თბილისში ცხოვრობს და მუშაობს. იგი ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორია. მას ეკუთვნის ასზე მეტი გამოკვლევა ქართული, რუსული და ევროპული ლიტერატურის, ყურნალისტიკის, კრიტიკის, საზოგადოებრივი აზროვნების პრობლემებზე.

ბრესტის ლეგენდარულ დაცვას, პოლონეთის ანტიფაშისტ-იატაკქვეშელთა მძიმე ბრძოლებს და საფრანგეთის წინააღმდეგობის მოძრაობას მიეძღვნა მწერალ ა. კალანდაძის თხზულებები: „დღევანი ბრესტის სიმაგრეში“, „პიასტის ნამუხლარზე“ და „მაკიზარებთან“.

აღექსანდრე კალანდაძე ჩამოვიდა ბრესტში. აქ ყველაფერი ახლობელია მისთვის — ეს წმიდა ქვებიცი, ტყვიით დაცხრილული ციხე-სიმაგრის კედლის ნანგრევებიც, თანაპოლკელი ძმობილებიც. ჩამოვიდა, რათა დასწრებოდა მემორიალური კომპლექსის გახსნას... აქ იყვნენ ციხე-სიმაგრის დაცვის მონაწილენი დანილ აბდულაევი და ფილიპ ლაენკოვიც, რომლებიც აგრეთვე მონაწილეობდნენ საფრანგეთის წინააღმდეგობის მოძრაობაში. ვეტერანები ლაპარაკობდნენ ხალხთა ძმობასა და მეგობრობაზე, რომელიც მკაფიოდ გამოვლინდა დიდ სამამულო ომში.



ისინი ოცდაათი წლის შემდეგ შეხვდნენ ერთმანეთს. მარცხნიდან მარჯვნივ — ა. კალანდაძე, დ. აბულაევი და ფ. ლაენკოვი.

— მეკითხებით, რატომ ვარ აღდგეხული? მე ხომ ოცდაათი წელიწადია არ ვყოფილვარ აქ, ამ მიწაზე, სადაც დაიწყო ომი, სადაც პირველი საბრძოლო ნათლობა მივიღე.

333-ე მსროლელთა პოლკის მე-3 ასეულის ყოფილ პოლიტბელ აღექსანდრე ბავლეს ძე კალანდაძესთან რამდენიმე საათი ვაჯიარე და იმდენი რამ ახალი ვავიგე, რომ მე, როგორც ეურნა-

\* ბელორუსმა ხალხმა დიდებული ძეგლი აუგო ბრესტის ციხე-სიმაგრის ლეგენდარულ დამცველებს. ამ მემორიალური კომპლექსის საზეიმო გახსნაზე ჩვენი რესპუბლიკიდან მიწვეული იყო მწერალი აღექსანდრე კალანდაძე.

ბელორუსის მწერალთა კავშირის ორგანომ ვაზ. „ლიტერატურა ი მასტატვამ“ სპეციალური ნარკვევი მიუძღვნა ა. კალანდაძეს. ვაქვეყნებთ აღნიშნული ნარკვევის თარგმანს. რედ.

1941 წლის შემოდგომიდან ა. კალანდაძე აქტიურ ანტიფაშისტურ მოქმედებას იწყებს. მასთან ერთად იბრძვიან კვიატკოვსკი, ელონევი, სტელმახი, ვაბარა, გლოუსკმანი, ვარშავსკი, ლიტმანოვიჩი და სხვა პოლონელი პატრიოტები, რომლებმაც ერთმანეთს ძმობა შეპფიცეს.

ა. კალანდაძეს დღესაც სისტემატური მიმოწერა აქვს თანამებრძოლ პოლონელ ძმობილებთან. ლოდში, პაბიანიცეში, ცხოვრობენ და მუშაობენ ელონევი, სტელმახი, პროსნაკი, კრაუზე და სხვა ანტიფაშისტები. ახსოვთ და უყვართ პოლონელ მეგობრებს თავიანთი საბჭოთა თანამებრძოლი. ძალიან თბილად, დიდი სიყვარულით აღწერა ეს ძმური თავდადება ა. კალანდაძემ დოკუმენტურ რომანში „პიასტის ნამუხლარზე“, რომელიც ქართულ ენაზე დაიბეჭდა. ამ წიგნს უახლოეს ხანებში წაიკითხავს რუსი მკითხველი.

1944 წლის დამდეგს ა. კალანდაძემ სამხრეთ საფრანგეთში შეაღწია. პოლონელთა დახმარებით, რომელთა შორის გამოირჩეოდა ესპანეთის სამოქალაქო ომის მონაწილე კაბიტანი სტასეკი, ქალაქ კარმოს საბჭოთა სამხედრო ტყვეთა ბანაკში აჯან-

# ნ ი კ ე ბ უ რ ი



1899 წელი... ინგლისელმა დამპყრობლებმა დაიწყეს ახალი ომი ტრანსკავკასია და ორანჟის რესპუბლიკების დამონების მიზნით. ინგლისმა ბრძოლის ველზე 850.000 ჯარისკაცი გამოიყვანა, მაგრამ მაინც ვერ გასტეხა თავისუფლებისმოყვარე ბურჟუაზიის ნებისყოფა. იმ ხანებში ილია ჭავჭავაძე წერდა „ივერიის“ ფურცლებზე: „თავმოშწონეობას ინგლისისა დიდი თავზარი დავცა, ეს მართლა-და ძლიერი სახელმწიფო... ღამის დამარცხდეს ტრანსკავკასიის „ტიტიებისაგან“, როგორც დაცინვით ინგლისელნი უწოდებდნენ სამხრეთ-აფრიკაში დაბინავებულ ჰოლანდიის გლეხობას, რომელიც დღეს გულ და გულ წინ აღუდგა და ინგლისის გამარჯვებით ეომება. მარცხი მარცხზე მოსდის ინგლისსა და, არ იქმნა ომის ბედმა მისკენ დღეს აქამომდე ვერ მოიხედა. ამ ბოლო ხანებში თვით მთავარწინამძღვარი ინგლისის ლაშქრისა ბულღერი საშინლად დამარცხდა ბურჟუაზიისაგან; იგი ბულღერი, რომელიც, ღონდონიდან რომ მიდიოდა აფრიკაში, თითქმის იმედი მისცა, რომ ქრისტეს შობის დღესასწაულებს ბურჟუაზიის სატახტო ქალაქში, პრეტორიაში გადავიხდით. ეხლა ამ თავმოწონებულმა და მოქაღვივე ვაჟბატონმა ეს დღესასწაულები უნდა გაატაროს თავში ცემით, ვაი ეს რა უბედურება დამემართაო“.

მაგრამ დამპყრობელთა ძალების დიდმა სიჭარბემ თავისი გაიტანა. ინგლისელებმა აიღეს ბურჟუაზიის დედაქალაქი. ამის შემდეგ ბურჟუაზიის პარტიზანულ ბრძოლებზე გადავიდნენ, იბრძოდნენ ქალებიცა და ბავშვებიც კი. ინგლისელი დამპყრობლები სასტიკი რეპრესიებს მიმართავდნენ და ტყვეებს ჩაგუჭ-ჩაგუჭად მუსრს ავლებდნენ.

1900 წელი. ერთ ღამეს ინგლისელებმა ტყვეების უკანასკნელი ჩაგუჭი გაიყვანეს დასახვრეტად. როგორც ახალგაზრდა, ისე ხანდაზმული ბურჟუაზიის ამაყად თავაწეული იდგნენ მოდერნულ ლულებს წინ. ბურჟუაზიის ერთად აქვე იყვნენ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიებიდან მათს დასახმარებლად ჩამოსული მოხალისეები. განწირულთაგან ერთმა წარმოსადგემა ვაჟაკმა უბიდან პატარა სურათი ამოიღო და მთვარის შუქზე დიდხანს დასცქეროდა. ეს შენიშნა ინგლისელმა ოფიცერმა, ახლოს მივიდა, ტყვე აათვალ-ჩათვალა, სურათი გამოართვა და ტყვეს ჰკითხა:

- ვინ არის ეს ქალი, რატომ არის ასე უცნაურად გამოწყობილი?
- ფოტოსურათზე ქალს ძველებური ქართული ყურთმარებიანი კაბა ეცვა და ლერწამი ესურა.
- ჩემი დედაა! — ფრანგულად უპასუხა დასახვრეტად გაყვანილმა ტყვემ.
- მერედა შენ თვითონ ვინა ხარ?

ნ. ბაგრატიონი და მისი ოჯახი.



— ქართველი. გვარად ბაგრატიონი ოფიცერს ეტყობოდა საიდანაცა გამოვიდა ჰქონდა ეს გვარი, მან გაცე-ბულმა დაიხია უკან, მერე ტყვეს უბრძანა მწკრივიდან გამოსულიყო და სად-ღაც გაიქცა. სულ მალე მობრუნდა და ქართველი ტყვე ინგლისის ჯარების ფელდმარშალთან, ჰერბერტ კიტჩინერთან წაიყვანეს. კიტჩინერი მტკად სასტიკი კაცი იყო. ბურჟუაზიის მას მახრობელმა გველს ეძახებდნენ.

ფელდმარშალი და ტყვე რამდენიმე წუთს უხმოდ უცქეროდნენ ერთმანეთს. — თქვენ ბაგრატიონი ხართ? — დაარღვია სიჩუმე ფელდმარშალმა. — დიახ, ბატონო! — რატომ იბრძოდით ჩვენს წინააღმდეგ? — იმიტომ, რომ ბურჟუაზიის თავისუფლებისათვის იბრძვიან, ყველა ხალხს უნდა შეეძლოს თავისუფლად იცხოვროს ამ ქვეყანაზე. ამისათვის ხალხი არ უნდა ისჯებოდეს.

კიტჩინერის თვალეში რისხვამ იელვა, მაგრამ მან თავი შეიკავა: — შეამზობიან ჩვენ ვხვრეტთ. თქვენ კი, როგორც სამხედრო ტყვე, გაი-წავნებით წმინდა ელენეს კუნძულზე, — თქვა კიტჩინერმა და შებრუნდა. ადიუტანტმა გაიყვანა ტყვე და შეიარაღებულ ჯარისკაცებს ჩააბარა. კარგა ხნის შემდეგ „ივერიამ“ გამოაქვეყნა ნიკო ბაგრატიონის წერილი, გამოგზავნილი წმინდა ელენეს კუნძულიდან. მასში აღნიშნული იყო:

„ნ. პარილს, 1900 წელს, ბოლოკოსთან მომხდარ ცხარე ბრძოლის შემდეგ, სადღაც გენერალი ვილბუა მორეტი მოჰკლეს, ჩვენ ტყვედ წაგვიყვანეს და აი, ინგლისელებმა წმ. ელენეს კუნძულზე გამოგზავნეს. წერილს ნებას არ მამდევენ და არა მჭერა, რომ ეს ღია ბარათი თქვენამდე მოაღწევს; როგორც კი ნებას მომცემენ, ყოველივეს დაწვრილებით გაცნობებთ“.

წმ. ელენეს კუნძულზე ნიკო ბურჟა ექვს თვეზე მეტად დაჰყო. განთავისუფ-ლების შემდეგ, სამშობლოში გამოგზავრების წინ, ბურჟა ტყვე ოფიცრებმა გამოსათხოვარი სადილი გაუმართეს და პოლანდიურ ენაზე დაწერილი ასე-თი ადრესი გადასცეს:

„წმ. ელენეს კუნძული, ნიკოლოზ გიორგის-ძე ბაგრატიონ-მუხრანბატონს. მოწყალეო ხელმწიფე! ჩვენ ქვემოთ ამისა ხელის მომწერნი, ტრანსკავ-ლისა და ორანჟის რესპუბლიკების ტყვე ოფიცრები, ამ წერილით მაღლობას გიცხადებთ იმისათვის, რომ თქვენ აპყვეით თქვენი კეთილშობილი გულის რა-ინდულ ლტოლვას, არ დაწოგეთ არც შრომა, არც ხარჯი და პირადად მონა-წილეობა მიიღეთ ჩვენს ბრძოლაში ინგლისის ურიცხვი ჯარების წინააღმდეგ. ჩვენი მართალი საქმისთვის თქვენ სიცოცხლის შეწირვა განიზრახეთ. ბედმა გი-დალატათ და ჩვენთან ერთად, აქ ტყვედ ყოფნა გარგუნათ. ერთხელ კიდევ გმადლობთ იმ მამაცობისათვის, რაც თქვენ გამოიჩინეთ. იმედ გვაქვს, რომ სამშობლოში დაბრუნებისას ყოველთვის თანაგრძნობით გაიხსენებთ ჩვენს სა-მართლიან საქმეს. ჩვენ კი პირობას გაძლევთ, რომ ყველა იმას, რაც თქვენ, უცხოელმა, ჩვენთვის გააკეთეთ, ჩვენი ხალხი ყოველთვის მოიგონებს. იყოს კურთხევა ღვთისა თქვენსა ზედა. ეს არის ჩვენი გულწრფელი სურვილი“.

ამ ადრესს ბურჟუაზიის ოცდახუთმა ოფიცრმა მოაწერა ხელი. ნიკო ბურჟი ჯერ ლონდონში ჩაიყვანეს, იქიდან იგი პარიზში ჩავიდა და შემდეგ თბილისში დაბრუნდა.

სხვათა შორის, ინგლის-ბურჟუაზიის ამ ომის მონაწილე იყო აგრეთვე ახალ-გაზრდა უინსტონ ჩერჩილი. იგი როგორც გაზეთ „მორნიგ პოსტის“ სამხედრო კორესპონდენტი, ბრძოლის ველზე იმყოფებოდა, ბურჟუაზიის იგი ტყვედ წაიყვა-ნეს, მაგრამ ჩერჩილმა გაქცევა მოახერხა.

ნიკო ბურჟი ეკუთვნოდა მუხრანის ბაგრატიონთა შტოს. იგი დაიბადა სო-ფელ მუხრანში 1868 წელს, გარდაიცვალა 1928 წელს, თბილისში.

თავის დროზე მთელი ქართული პრესა ფართოდ გამოეხმაურა ინგლის-ბუ-რჟუაზიის ომს, რომლის დროსაც დამპყრობლები მართლაც შემაძრწუნებელ ბარ-ბარობას სჩადიდდნენ — სწავდნენ სოფლებსა და ქალაქებს, უღელტდნენ მშვიდობიან მოსახლეობას — ქალებსა და ბავშვებს; და როცა ამ ძველ ურ-ნალ-გაზეთებში დაბეჭდილ წერილებს გკითხულობთ, ისეთი შთაბეჭდილება გვჩრება, თითქოს ისინი დღეს იყოს დაწვრილი და ეხებოდეს იმ სისხლიან ბრძოლებს, რომლებიც დღეს ოლსტერის ქუჩებში მიმდინარეობს.

# ერეთი ბანკის საირეზო

ანბი არსენაშვილი

მოთხრობა

პატრონი იმ ტელეფონისა, რომლის ნომერი მძიმედ დატყობილი ჰქონდა ჯიბეში იპოვეს, საბურთალოში ცხოვრობდა. მილიციის მუშაკებმა დაუყოვნებლივ მის ბინას მიაშურეს. ვინმე როსტომ ოთარაშვილს კოპერაციულ ბინაში სამი ოთახი ჰქონდა.

კარი გამოკეტილი დაუხვდათ.

მარტოხელა, გულჩახვეულ კაცზე მეზობლებმა ვერაფერი თქვეს ისეთი, მისაშვილს რომ გამოადგებოდა.

— გახსოვს ივეტამ ვიღაც როსტომის სახელი რომ ახსენა? — მიუბრუნდა ქუჩაში გამოსული მაიორი გელაშვილს.

— მეც მაგაზე ვფიქრობ... — უთხრა რეზომ.

— არა მგონია სახელების უბრალო დამთხვევა იყოს!

— ეგ ადვილი დასადგენია. შევახვედროთ ივეტა და ყველაფერი გაირკვევა.

— ასე არა, რეზო... შეიძლება უფრო დაეფრთხობოთ ნადირი.

ავტოსატრანსპორტო კანტორაში, სადაც როსტომი ავტობუსის შოფრად მუშაობდა, მილიციის მუშაკებს ბევრი ვერაფერი უთხრეს.

— აბა რა ვიცი. — ხელები გაშალა მთავარმა ინჟინერმა, — ჩვეულებრივი შოფერია, გეგმებს ასრულებს, არ ჩხუბობს, წესს არ არღვევს, ერთი სიტყვით, არაფერი გამოირჩევა. სასმელს ეტანება, მაგრამ ყოველთვის ფრთხილობს. ავარიის გამო ერთხელ უკვე მოიხადა სასჯელი და... შებინდებისას თუ გამოვლით, ჩაჩანოს აქ ნახავთ, — ქალაქებს ჩახედა ინჟინერმა და რომელიღაც გრაფას თითი გააყოლა, — სამუშაოს ცხრა საათზე ამთავრებს.

მილიციის მუშაკებმა ერთიმეორეს გადახედეს.

— როგორ თქვით? — თვალი გაუსწორა ბონდომ ინჟინერს და მაგიდაზე გადაშლილ ქალაქებს თვითონაც ჩააცქერდა.

— ჩაჩანომ გაგაკვირვათ?! — ხმაშლილი გაიცინა ინჟინერმა — როსტომ ოთარაშვილის მეტსახელია, ასე ეძახიან შოფერები.

— ალბათ ჩაჩანვით ბიჭი იქნება, მარდი და მოსხლეთილი, — ბანზე აუგდო სიტყვა რეზო გელაშვილმა.

— რა ვიცი, თქვენ თვითონ ნახეთ!

მესამე მარშრუტის ავტობუსი, რომელზედაც როსტომი მუშაობდა, ვაკის პარკიდან ლენინის მოედნამდე დადიოდა. მაიორმა უკვე იცოდა ამ ავტობუსის ნომერი და ძნელი არ იყო შორიდან მაინც შეეხედა ჩაჩანოსათვის, მაგრამ არ ჩქარობდა.

რეზო კი უკვე ნერვიულობდა.

— რაღას უყვდი, აშკარაა, მკვლელი ეგ არის. დავაპატიმროთ და გათავდება ყველაფერი.

— მოიცა, რეზო, ნუ ფიცობ, — ამშვიდებდა მაიორი, — ჯერ ერთი დაპატიმრებისათვის პროკურორის სანქცია საჭირო. პროკურორთან კი ასე შიშველი ხელით ვერ მიხვალ. აბა რა გვაქვს ხელთ? ხომ ნახე როგორ კარგად დაახსიათა ჩაჩანო მთავარმა ინჟინერმა.

გადაწყვიტეს როსტომ-ჩაჩანო ვაკის პარკთან, ბოლო გაჩერებაზე ენახათ, ისე, რომ მას არაფერი შეემჩნია.

დისპეტჩერის ჯიხურთან სამი ავტობუსი იდგა და მგზავრებს უყვდი. სიცხით გათანგულ, დაცარიელებულ ტროტუარზე შოფერებს წრე შეეკრათ და რალადაც ცხარედ დაეობდნენ.

— ღმერთმანი, გადარეულია ეგ კაცი, გაიძახოდა ხანში შესული შოფერი და მეგობრებს მესამედ თუ მეოთხედ უყვებოდა თავის ამბავს, — ოპერასთან წამომეწია; სარკეში ვხედავდი როგორ მოძვრებოდა ამხელა ავტობუსი გადატვირთულ ქუჩაზე და არაფერს ერიდებოდა. ლამის გზონებზე შევყავენ მანქანა, გზა მივეცი, მაგრამ წარმოგიდგენია, ისევე ჩემსკენ მოდის, თითქოს განგებ, მოდის რალა, უნდა დამეჩახოს. როგორც თქვენ გიყურებთ, ისე ვხედავდი ყველაფერს. ჩემს წინ კი შავი, გაკრიალებული „ვოლგა“ იდგა. მილი და გადაახტი, თუ ვაქცი კი ხარ. შემეშინდა, ნამდვილად შემეშინდა. ამ ხნის კაცი



ვარ და ასეთი რამ ჯერ არ მომხვლია. მომეჩვენა, რომ უკვე ვიღუპები... მუხრუჭების იმედი მქონდა და ავტობუსი, როგორც იყო გავაჩერე „ვოლგის“ უკან. ეს გადარეული კი სიჩქარის შეუხელებლად მივლის გვერდით და თან იღრბება, დამცინის, ვითომ მახელებს კიდევ. მგზავრებმა ვაი-უშველებელი დამატყვეს, ერთმა ისიც კი მომაძახა: „ბებერო, თუ შენ სიცოცხლე მოგპარებოდა, ცხვარი დაიბი თავით, ჩვენ რას გვერჩიო“.

ბიჭები ხარხარებენ და გულს უკეთებენ გამწარებულ კაცს.

— ეჰ, ბიძია პეტრე, ვართულდა ცხოვრება, წინ წავიდა, შენ კი ჩამორჩენილი ხარ, და ჩამორჩენილებს...

— წადი აქედან, შე ლაწირაკო. — აღარ დაამთავრებინა ხანში შესულმა, — შენ დაბადებულს არ იყავი, წიგნაკი რომ ავიღე...

— ჰოდა, მეც მაგას გეუბნები...

მოულოდნელად ფალიაშვილის დაკეტილი ქუჩიდან მსუბუქი მანქანა გამოვარდა და პარკის შესასვლელთან გაჩერდა. მანქანიდან მილიციის მუშაკები გადმოვიდნენ და არც შეჩერებულან. პირდაპირ ავტობუსისაკენ აიღეს გეზი.

— ტუზი დაგეცა, ბიძია პეტრე, ეგენი ამოგყრიან იმ გადარეულის ჯავრს, — ჩაიქიჩილა ახალგაზრდა შოფერმა და საათს დახედა, ჩემი წასვლის დრო ხომ არ მოვიდაო.

მაიორი გამოზომილი ნაბიჯებით გადმოდიოდა ქუჩაზე და ყურადღებით აკვირდებოდა სადისპეტჩეროსთან გაჩერებულ შოფერებს, მათი გამოჩენისთანავე ერთბაშად რომ გაიფანტნენ. მისაშვილს ფეხდაფეხ მიჰყვნენ რეზო გელაშვილი და ფალიაშვილის ქუჩის უბნის ინსპექტორი.

მაიორმა შეათვალა გაჩერებული ავტობუსები და იკითხა:

— როსტომ ოთარაშვილი თუ მუშაობს დღეს?

— ჩაჩანო? — რატომღაც გაოცდა პეტრე, — მუშაობს, საცაა მისი ავტობუსიც გამოჩნდება.

ხანში შესული შოფერი გაოგნებული იტყობოდა აქეთ-იქით და ვერაფერი გაეგო. მართალია, თვითონაც ჩაჩანოზე იყო განაწყენებული, მაგრამ მილიციის მუშაკებს რალა უნდოდათ? „არა, არა, ცუდს ვერ წამომადევიანებენ. — გადაწყვიტა მტყიცედ, — მაინც მეცოდება ის გადარეული“.

მილიციის მანქანიდან ყველაზე გვიან თელაველი სიმონა გადმოვიდა. თანამგზავრებს ჩამორჩა და ფეხათრევით გაიარა დარჩენილი მანძილი. ლელავდა, საფეთქლებთან თითქოს უროებს ურტყამდნენ და ეჩვენებოდა, რომ სინათლე თვალისმომჭრელად კაშკაშებდა. პაპიროსს პაპიროსზე ეწეოდა და ბოლს ხარბად ისუნთქავდა.

— აბა, შენ იცი, — ყურში ჩაესმა რეზოს ხმა, — ყველაფერი გაიხსენე, კარგად დააკვირდი, არ შეცდე. ჩვენ სიმართლის გავება გვინდა, თორემ უდასაშუალო კაცს რას ვერჩიო...

ახლა მაიორმა მიიხმო სიმონა და ჩასჩურჩულა:

\* დასასრული. იხ. „დროშა“, № 11, 12, 2, 3.

— შენ, თუ გინდა, ნურც გამოჩნდები, მარტო გვანიშნე — „ის არის“ ან „ის არ არის“, მორჩა და გათავდა.

სიმონას ხმა არ ამოუღია. იღვა ჩუმად. თავს იქნევდა.

ავტობუსებმა უფრო ძალიან აითრიეს ფეხი — შოფერებმა იცოდნენ, ჩაჩანო სულ მალე აქ მოვიდოდა.

მოსახვევში ლურჯი ავტობუსი გამოჩნდა და ბონდომ იმავე წუთს შენიშნა ნაცნობი ნომერი. გელაშვილმა სიმონას შეხედა და სხვების შეუმჩნევლად ჩაულაპარაკა.

— აბა შენ იცი, არ აჩქარდე, კარგად დააკვირდი!

ჩაჩანო სწრაფად გადმოხტა კაბინიდან და იქ გაჩერებულ ნაცნობებს ხელის აღებით მიესალმა, მაგრამ ეუცნაურა მეგობრების სიცივე თუ დაბნეულობა. იქვე ყურებამოყრილი პეტრე შენიშნა და ხმაოდ გადაიხარხარა.

— რაო ბებერი, შიშმა ჭერ კიდევ არ გაგვიარა?

სვეტზე მიყრდნობილი სიმონა სწრაფად მოეგო გონს. ახლადმოკიდებული პაპიროსი მიწაზე გადაადგო, წელში გასწორდა და ჩაჩანოსაკენ გამოემართა მან უმალ შეამჩნია სახელაწილი ბიჭი და გზა დაუთმო.

— თუ კაცი ხარ, ნუ მერიდები, კარგად დამაკვირდი და თვალბში შემომხედე! — სიმონას ბოლომთ სავეს ხმა ჰქონდა.

მილიციის მუშაკებმა ნაადრევად ჩათვალეს საქმეში ჩარევა.

ჩაჩანომ ჭერ მილიციის მუშაკებს გადახედა, მერე დაბნეული მიჩერდა უცნობს და მარცხენა წარბი აუთამაშა.

— თვალბში შემოგხედო?

— ჰო, კარგად შემომხედე, იქნებ გამიხსენო! — უკვე მუქარა თუ ბრახი გაერია სიმონას ხმაში.

— რა მოხდა ძმობილო, ხომ არავისში გეშლები?

— შოფერების წრე უცებ შეიკრა.

— მეშლები?! ოხ, მე შენი...

დარტყმა ისე სწრაფი და მოზომილი იყო, ჩაჩანომ ველარაფრის თქმა ვერ მოასწრო. ეს ვეება კაცი მოკელილივით წაიქცა ასფალტზე.

ავტობუსიდან ჩამოსული ქალების კივილმა გაავსო ქუჩა.

მაიორი ერთი ნახტომით გაჩნდა მოჩხუბრებთან და თელაველ სიმონას ბრახიანად შეხედა.

— ხომ არ გაგიჟდი?

ფეხზე წამომდგარი ჩაჩანო ცხვირიდან წამოსულ სისხლს იწმენდა და თან მაიორისაკენ იყურებოდა.

— ხომ დინახეთ, თქვენი თვლით დინახეთ, არაფერი არ დამიშვებია.

— ყველაფერი დავინახეთ და მოწმეებალაც დაგიდგებით, წავიდეთ განყოფილებაში...

— განყოფილებაში? იქ რა მინდა?! — ფერი დაეკარგა ჩაჩანოს, — მე ხელიც არ შემობრუნებია.

— ნუ გეშინია, ტყუილად არავინ დაგზარავს, ჩვენც გიმოწმებთ, რომ ხელი ნამდვილად არ შეგებრუნებია.

სახლი მალე გაიფანტა-გამოიფანტა. ავტობუსის გაოცებული შოფერები ვერაფრით ვერ მიხვდარიყვნენ რა ხდებოდა.

— ღმერთმანი, მე არაფერი ვიცი, — ხელებს შლიდა პეტრე, — ნეტავ ენა გამხმობოდა და დღეს მაგ ბიჭზე კუდი არაფერი მეთქვა. ისეთი ბედისა ვარ, ყველაფერი ახლა მე დამბრალდება.

\* \* \*

გაოგნებულმა ჩაჩანომ მხოლოდ მაშინ ამოიღო ხმა, როცა მილიციის მანქანა თბილისსაც გასცდა.

— კაცო, არ იტყვი თინა ხართ, სად მიგყვართ?

— რა გაშინებს, გომბორში მივდივართ, პურ-მარილზე დაგვაპტიყეს, — უპასუხა რეზომ.

გომბორის ხსენებაზე ჩაჩანოს გააფრეოლა. უფროსი ლეიტენანტის გადაკრულმა სიტყვამ ის ავდრინიან ღამე დაუყენა თვალწინ, როცა ვიღაც შოფერს მკვდარი კაცი შეუვლო მანქანაში.

— ფრთხილად, ჩაჩანო, — გაიფიქრა, — შეიძლება ექვი მიიტანეს, მაგრამ რით დაგიმტკიცებენ. ნუთუ ჭილაშვილმა გამცა?! არა მგონია! ყველაფერზე უარს ვიტყვი“.

გომბორამდე ისე იარეს, რომ ხმა აღარავის ამოუღია. სოფლის ბოლოში, სწორედ იმ წყაროსთან გაჩერდნენ სადაც სიმონა მკვლელებს პირველად გადაეყარა. გელაშვილი ფერდაკარგულ ჩაჩანოს მიუბრუნდა.

— წყალს ხომ არ დალევი, ჩვენი მასპინძელი თეთრწყლებში გადასულა, მალაზიის დარაჯთან ქეიფობს და იქ მოგვიხდება ღამის გათევა.

ჩაჩანოს სახე მოღრეცოდა, მთელი ტანით თრთოდა. ერთხანს ასე გონება-გამოთიშული, დაბნეული იყურებოდა, მერე ფეთიანივით წამოიჭრა.

— რას მაწვალებთ, რა გამოცანებით მელაპარაკებით, პირდაპირ შემეკითხეთ და გიპასუხებთ.

— მაგის დროც დადგება, — ახალა ამოიღო ხმა მაიორმა.

— ბავშვი ხომ არა ვარ, ვერ მიგხვდე, — წამოიძახა ჩაჩანომ, — ვატყობ ყველაფერი იცით. მეც აღარაფერს დავშალავ... ერთი ის მაინც გამაგებინეთ ვინ დაგაყენათ სწორ გზაზე. მე ხომ მარტო არ ვიყავი?!

— ჰოდა, ჭილაშვილიც მალე მოგიკვდება გვერდით.

— ვაიმე, ჩემო სამსონ! — ამოვიგინა ჩაჩანომ.

— გეცოდება? თუ ასეა, ტყვია რაღათ ესროლე?

— ვესროლე? ეგ ვიღამ გითხრათ?

— თვითონ ჭილაშვილმა. გვიოხრა კი არა, დაგვიწერა კიდევ, საკუთარი ხელით...

ჩაჩანოს ტანზე ცეცხლი ეკიდა, შუბლზე გახურებულ შანთებს ადებდნენ. თითქოს, ვიღაც განუწყვეტილად კიოდა და ეს კივილი გულს უკაწრავდა.

— მაინც ვერ დავიჯერებ. ისე გამოყეყენდა, რომ თვითონ წაყო ცხვირი მღულარეში?

— ვერ დავიჯერებ? — ირონიულად გაეღიმა მაიორს, — თელავამდე ჭერ დრო გვაქვს და თუ გინდა წავიკითხავ ჭილაშვილის ჩვენებს.

— ჩვენებს წამიკითხავ?! — გაოცდა ჩაჩანო.

მაიორი მიხვდა, რომ გამოცდილ დამნაშავეს უკვირდა მისი გულახდილობა. მაინც ამოიღო საქალაქედან ბატიფეხურით ნაწერი ფურცლები.

— ურწმუნო კაცი ყოფილხარ. წავიკითხავ იმიტომ, რომ აქედანვე იცოდე — შენთან საფერო არაფერი გვაქვს, ყველაფერი ვიცით.

გაიკვირებული ჩაჩანო ყურადღებად იქცა.

„...მე რომ ჩაჩანოს არ გადაეყრდი, ალბათ ბედნიერი კაცი ვიქნებოდი, — დაიწყო ჭილაშვილის ჩვენების კითხვა ბონდო მისაშვილმა, — მაგრამ თურმე კაცმა არ იცის სად გაპოფს თავს მახეში... მეც ასე დამემართა.

ეს კაცი თვითონ მათემ გამაცნო, ციხეში დამწყალებულან და ერთგულზეა შეუფიცავთ ერთიმეორისათვის. პირველად გამიკვირდა კიდევ, რომ გამენდნენ, მაგრამ შემატყეს პირაოში არ ვიყავ და გული გადამიხსნეს.

არ ვიცი საიდან მოქონდათ მორფი და ანაშა, მაგრამ საიდუმლო საწყობში გამოდებით გვექონდა ეს საწამლაგი. მოდიოდნენ პირტიტველა ბიჭები, ზრდი-ლობიანი მამაკაცები, ქალები. მუშტარი გვეყავდა და ფულს კარგა ბლომად ეშოულობდით. ჩაჩანო გვიკრძალავდა უცხო კაცისათვის მორფისა და ანაშას მიყიდვას. ახალ კლიენტს მხოლოდ მაშინ ვენდობოდით, როცა ჩაჩანოს ბარათს მოიტანდა. მუშტარი სტუდენტებს შორისაც გამოგვიჩნდა. მათ რჩევას ვაძლევდით რა უნდა ეთქვათ, თუ მილიციის ხელში მოხვდებოდნენ. თქვი, რომ ტროლიბუსში ჩუმად ჩიბეში ჩავიდო ვიღაცამ. წავიდნენ და ეძებონ!

ჩაჩანო ხარბი იყო და ფულს ყოველთვის ერთიორად მეტს იღებდა. მე კი სილატაეში გაზრდილს ისიც მყოფნიდა, რასაც თვითონ გაიმეტებდა ხოლმე. სამივენი ხშირად ვიკრიბებოდით პარკში, საკუჭნაოს მოხუთულ კედლებში ჩავიკეტებოდით და გონების დაკარგვამდე ვსვამდით.

ერთხელ, სიმთვრალის დროს, მათე და ჩაჩანო წაიხუბნენ. როგორც მახსოვს, სასაცილო ამბიდან შეეყენნ ხუმრობას და ბოლოს დანებს წამოავლეს ხელი. არკით გამობრუნებულს არაფერი გაეგებოდათ, იგინებოდნენ, რას არ აყვედრიდნენ ერთმანეთს. ამ ჩხუბის დროს გავიგე, რომ მათე მდიდარი კაცი ყოფილა და ლამაზი ცოლიც ჰყოლია, ალბათ იმ ქალმა აუბა თვალები ჩაჩანოს, თორემ მათესთან აბა რა ჰქონდა გასაყოფი.

უცებ მათემ დღინით სავეს ბოთლს დასტაცა ხელი.

ბოთლი წავართვი და გარეთ გამოყვანა მინდოდა, მაგრამ გაისმა გასროლა...

— უხ, მე შენი... — ამის თქმა მოასწრო მათემ და ჩაიქცა.

თავი სიზმარში მეგონა. გაშტერებული მიგჩერებოდი მკვლელს, ის კი მშვიდად იღვა იარაღშემართული და მომეჩვენა, რომ ილიმებოდა. მინდოდა ქვეყანა შემეყარა, მაგრამ დაყვირება ვერ შევძელ და საკუთარი ხმა მე თვითონ მეუცხოვა.

ისევე ჩაჩანო მოეგო პირველი გონს, სუფრას გადმოახტა და საკუჭნაოს კარები მჭიდროდ მიხურა. ვიფიქრე, ალბათ ახლა მეც ამიგებს-მეთქი ანდერძს და ისე მოვეშვი, არც მიცდია წინააღმდეგობის გაწევა. სრულიად მოულოდნელად ჩაჩანომ რევოლვერი ჭიბეში შეინახა და ცხვირსახოცით სახეზე ოფლი მოიწმინდა.

— წუწუნის დრო არ არის, სამსონ, მტყუანი და მართალი მერე გავარჩიოთ...

მიკვირს რატომ დავნებდი უცებ, უბრალოდ, დაუფიქრებლად. ჩაჩანო მარწმუნებდა: თუ ახლა გაჩუმდები და გვერდში ამომიდგები, ადვილად გამოვალთ ამ საქმიდანო.

— იცი რა სიმდიდრეს ინახავს მათე თავის ბინაში? რამდენი ხანიც არ უნდა ვიცოცხოლოთ, როგორც არ უნდა გავშლოთ ხელი, ნუ გენადვლება, თავზეც გადაგვივა, — მახარებდა მკვლელი.

გავბრვივდი და მივინდე.

ჩაჩანო ხშირად მოდიოდა ხოლმე ჩვენთან ცისფერი „პობედით“. „ჩემი ძმაკაცისააო“, — იტყოდა ხოლმე, ახლაც ეს მანქანა მოაქროლა სასწრაფოდ, საწყალი მათე საბარგულში შეტენა და მე გვერდით მომისვა. მანამდე კი ჭიბეები ამოუცარიელა იმ უბედურს, მისი გასაღებები ხელში შემომამჩეჩა და ნაწვიმარ გზაზე დიდი სიჩქარით გაეკარდა.

ერთხანს ვერ გავერკვიე საით მივდიოდით. მერე თანდათან მოვედი გონზე და როცა გომბორის გზაზე გადავხვიეთ, ერთხანად გამოვფხიზლდი. კოკისპირულ წვიმაში მხოლოდ ჩვენი მანქანა მიჰქროდა თავგამეტებით.

— გვამს სადმე მიუვალ ადგილას დავადებთ, — გამანდო თავისი გეგმა ჩაჩანომ, — ვინ იცის როდის იპოვნია. ასეც რომ მოხდეს, ჭიბეში საბუთები არ აქვს და ამ მხარეში ვერავინ იცნობს. აბა ვინ მოიკითხავს. ერთხანს დაუცდიან მილიციამი და მერე უგზო-უტყვლოდ დაკარგულად გამოაცხადებენ. ამა-სობაში მათეს ბინაში შევალთ და იმ თვალმარგალიტებს გამოვიტანთ...

ბევრი ვიარეთ, მაგრამ წვიმისაგან ატალახებულ გზას ვერსად გადავხვიეთ. ჩაჩანოს ეშინოდა სადმე არ ჩავარდნილიყო მანქანა და ვერ ბედავდა ტყეში შესვლას. არც გზის პირას სურდა გვამის დაგდება, ფრთხილობდა.

# როგორ გავხდეთ კორესპონდენტი

— სხვა გზა არ არის, — როგორც იყო თქვა ჩემს გასაგონად, — გვაძი ვი-  
ლასს უნდა შევაჩქაროთ ხელში, თორემ ალბათ მალე დაგვათენდება.

გარეთ კვლავ წვიმდა. ცა თითქოს ჩამოქცევას აპირებდა.  
ჩაჩანო მანქანა მიაფარა, მიცვალბულის გვაძი ტომარაში ჩაღო და ცალი  
მხრიდან ასწია. მეორე მხარეს მე წავავლე ხელი. წვიმაში სირბილით გავიარეთ  
ორმოციოდ მეტრი და გზის ბირად დარჩენილ ნანგრევში შევედი. აქ ჩაჩა-  
ნომ მეკადარს საწვიმარი გადააფარა და თვითონ თავზე ტომარაჩამოფარებული,  
გზაზე გამოვიდა. მე ნანგრევებში დავრჩი და კვლავ შიშმა ამიტანა.  
ლოდინი დიდხანს მოგვიხდა. შუალამე ალბათ გადასული იქნებოდა, როცა  
მოულოდნელად მანქანის შუქი გამოჩნდა. სიბნელეში ხუთტონიანი „ზილი“  
წამოგვადგა თავზე. კაბინაში მოფერი იჭდა მხოლოდ და ვინ იცის გაუხარდა  
კიდევ თანამგზავრის შეხვედრა.

ჩვენ სიმთვრალე დაგვბრალეთ მათე კენჭაძეს და თეთრწყლებში მისი წაყ-  
ვანა ვთხოვეთ. პირველად უარობდა მოფერი, მაგრამ ბოლოს მაინც დავიყო-  
ლიეთ და საწვიმარში გახვეული გვაძი გვერდით მოვუსვით.

ყველაფერი ისე კარგად მოაწყო ჩაჩანომ, რომ მე თვითონ გამოვიკირდა.  
სირბილით გამოვენთეთ უკან, მანქანაში ჩავსხედით და თბილისამდე კრი-  
ტი არ დაგვიძრავს.

გასაღებები ხელთ მქონდა და ჩაჩანოს დავალბებთ ერთ ღამეს მართლა შე-  
ვიპარე მათეს ბინაში. დიდხანს ვეძებე ბრილიანტები და ოქროები, მაგრამ ვერ  
მივაგენი. ბოლოს ლოგინში გადასახულ სამიათას მანეთს მოვუსვი ხელი და ის  
გამოვიტანე მხოლოდ. ჩაჩანო ლამის ქკუიდან შეიშალა, არაფრით არ დაიჭე-  
რა, რომ მართლს ვეუბნებოდი. ისე დაბეჭივებით მთხოვდა კიდევ შევსული-  
ყავი და მეძებნა ეს ძვირფასეულობა, რომ გავბრახდი და სახეში შევაფურ-  
თხე.

— კაცი კი არა, მხეცი ყოფილხარ-მეთქი.  
ერთ საღამოს მთვრალი მოვიდა, ფეხზე ძლივს იდგა. დამინახა თუ არა,  
ზიზლით დაიპრანჭა და სრულიად დაუფარავად მომახალა.

— სულ ერთია, ჩემი ანაწერა ხარ!  
— წადი ბიძიკო, წადი, გამოფხიზლდი და ისე მელაპარაკე, — არ დაუთმე  
უკვე გათამამებულმა.

— იქნებ ფიქრობ, მეშინია შენი. იმ ამბავში, ჩვენ რომ ვიცით, შენც ურე-  
ვიხარ, იცოდე, გვერდით ამოგიყენებ.

— მომეფე თუ კაცი ხარ, მთელი სიცოცხლე მეყოფა ის უბედურება, რა-  
შიც გამრიცხა.

— გაგრიე? — ხმამალა გადაიხარხარა, — ერთი შეხედვით ამას, მე გაგ-  
რიე?

— შენ ჰო, შენ. ყველაფერი დამაქარგვინე. მე ხომ ადამიანებში აღარ ვით-  
ვლები.

— მოდი ახლო ბებერო, მოდი, — დაებერა თვალები ჩაჩანოს, — რა და-  
გაკარგვინე? სიმართლე თუ გინდა იცოდე, შენი უჭკობით მე ნამდვილად დავ-  
კარგე ბებერი რამ. ხომ იპოვა მილიციამ ის ქონება?

იმ დღეებში მთელი ქალაქი მათე კენჭაძის ბინაში აღმოჩენილ განძზე ლა-  
პარაკობდა.

— დამანებე თავი, თორემ წავალ და მილიციაში მე თვითონ გამოვცხად-  
ლები, — ვცადე ჩაჩანოს შეშინება.  
— მილიციაში წახვალ? — სისხლი მოაწვა სახეზე, — მანამდე მე სხვაგან  
გაგისტუმრებ, შე უბედურო!

ჯიბიდან რევოლვერი ამოიღო და გულზე დამადო.  
— იქით გასწი ეგ ეშმაკის მოგონილი, — ვცადე ხელი ამეკრა მისთვის, მაგ-  
რამ ლულიდან გამოვარდნილმა ცეცხლმა სიტყვა ენაზე შემაყინა.

მერე აღარაფერი მახსოვს. მხოლოდ საოპერაციო მაგიდაზე მოვედი გონს.  
\* \* \*

ბონდო მასისაშვილმა კითხვა შეწყვიტა და პატიმარს შეხედა.  
— ყველაფერი გცოდნიათ. აკი ვითხარით, მეც აღარაფერს დავმალავ-მეთქი,  
— წამოიძახა პატიმარმა და ნერვიულობისაგან აჯანკალბული ნიკაპი ხელებში  
ჩარგო.

გაზაფხულის ყვავილებით დამშვენებული გომბორის გადასასვლელი ათას-  
ფრად ბრწყინავდა ჩამავალი მზის სხივებზე.

მარტოხელა მგზავრობაზე არც მი-  
ფიქრია, მაგრამ სოფლიდან ბავშვებ-  
ი უნდა ჩამოგვეყვანა და ჩემმა ქმარ-  
მა ვერა და ვერ მოიცალა.

— რისა გეშინიან, აგერ, ჩვენმა  
ნაწიკამ საბჭოთა კავშირის მიწა-  
წყალი მარტომ შემოიარა და ლამის  
ნავტიკით მტკვარსაც დაშვეს ბო-  
ლომდე, შენ რაღა გაუბედობა გვირ-  
სო, — გამაშხნევა ქმარმა.

აბა, რაღას ვიზამდი... ქმრის გაცი-  
ნებულ თვალთა კიაფი ახალციხიდან  
თბილისამდე ჩამყვდა. იქიდან სხვა ავ-  
ტობუსზე უნდა გადავმჯდარიყავი და  
ავტოსადგურამდე ტაქსით წავედი.

ჩერ იყო და, ტაქსის მოფერმა დაკი-  
თხვა დამიწყო. ტყუილი სხვისი მე-  
ჯავრება, მოდი და, მართალი თქვი  
არა და, რაში მესაჭიროება ჩემი ვინა-  
ობა ჩვეუკალო ვიღაც მოფერს. ცხა-  
დია, ისე კარგად ვერ მოვახერხე და  
მანც ვუთხარი, რომ არც არსაიდან  
არა ვარ და არც არსაიდან-მეთქი.

— მაშ ქალებმაც ისწავლეთ ტყუი-  
ლები? — მითხრა და გაფწითლდი,  
მაგრამ უკვე მივდიეთ.

ბებერი ვეხვეწე, ფულს არ იღებ-  
და — შენნაირი მატყუარასაგან ფულს  
არ ავიღებო. მერე გაწვილი სამშა-  
ნეთიანი გამომართვა, ჯიბეში ჩაიღო  
და ტაქსიც გააქანა.

ეგმც დოულაბობა! ორი მანეთი  
გადავყოფდი.  
ბილეთები ავიღე და ავტობუსში  
ავედი. ერთმა შუა ხანს მიტანებულ-  
მა კაცმა მიყურა, მიყურა და მომი-  
ახლოვდა.

— წამოდი, წინ დაგისვამ, ჩემთან!  
— თქვენ ვინ ბრძანდებით? — ვი-  
ფიქრე, ნაცნობი არ იყოს, ასეთ გულ-  
უხვობას რომ იჩენს-მეთქი!

— მოფერი ვარ, ეს ჩემი ავტობუ-  
სია.  
— დიდი მადლობა, აქაც კარგად  
ვგრძნობ თავს, — ვუპასუხე ელდა-  
ნაკრავმა.

— სად შევხვდეთ ერთმანეთს?—მი-  
თხრა გაბედულად და გული გადმო-  
მიბრუნა.  
— ვინა გგონივარ? — შევუთე  
რისით.

— მე რომ მიყვარს ძალიან, სწო-  
რედ ისა ხარ.  
— ოხ, შე საზიზღარო! — ესლა შევ-  
ძახე და ალბათ, ყურებამდე გაწით-  
ლდი, რომ ჩამჩურჩულასავით:  
— ო, როგორ ვიხდება სიწითლე...  
ავტობუსიდან ჩამოვედი — ჩამომ-  
ყვდა, ავიღე — ამოვიდა...  
როგორც იყო, დაჯდა საჭესთან და  
წავედი.

გზაზე, რომელიდაც გაჩერებაზე  
შუა ხანს გადაცილებული კაცი ამო-  
ვიდა და ჩემს გვერდით გათავისუფ-  
ლებული ადგილი დაიკავა. დელიკა-  
ტურად დამიწყო საანკეტო კითხვების  
მოცემა. თბილისიდან გვეცანი, მე-  
რე თვითონ გამეცნო, პარკეტების სა-  
ამქროს უფროსად ვმუშაობო, მერე  
ისევ შემეკითხა:

— ქალბატონო, თქვენ რომელ  
ქუჩაზე ცხოვრობთ?  
— ფლიაშვილის ამა და ამ ნომერ-  
ში, — ვიცრუე თამამად.

— მაგ ნომერში მგონი ინსტიტუ-  
ტი უნდა იყოს.  
მე დავიბენი, თუმცა მალე მოვეცი  
გონს და ვუთხარი შესახვევია-მეთქი.

— ამხანაგური ბინა გაქვთ თუ  
სახლმმართველობისა?  
არჩევანი სახლმმართველობისაზე  
შევაჩერე.

— თქვენი ბინა კეთილმოწყობი-  
ლია, არა? — არ მეშვება თანამ-  
გზავრი.

— არა კი! შიგა და შიგ.  
— ალბათ პარკეტი გიგიათ, არა?  
ვიფიქრე, პარკეტიანი რომ ვუთხრა,  
შემეკითხება როგორია, რა სახისაა.  
ამიტომ ვამჯობინე უპარკეტო იატა-  
კი მქონოდა.

— არა აქვს, ბატონო, პარკეტი!  
— ოო, ეს როგორ შეიძლება, ქალ-  
ბატონო, მე შემიძლია გაჩუქოთ რამ-  
დენიმე ათეული კვადრატული მეტრი  
პარკეტი...

— უი, რას ბრძანებთ, ბატონო,  
სულ არ მინდა!

— როგორ, პარკეტი არ გინდა?  
— ოხ, არა, ჩემს მეუღლეს არ უყ-  
ვარს!

— თქვენ თუ უყვარხართ თქვენს  
მეუღლეს? — მოსჭრა უცებ.  
— ძალიან, ძალიან!

— რადაც, არ მჭერა.  
მე განცვიფრდი, რა მოსაზრებით  
მითხრა-მეთქი და შევეუთე:

— საიდან ატყობ, რომ არ უყუყარ-  
ვარ?  
— საიდან და, მარტო არ გამოგი-  
შვებდა.

— ოო, რას ბრძანებთ, ბატონო, ჩე-  
მთვის ხალხში გასვლა სულზე მის-  
წერებაა.

— ვითომ რატომ? — დაექვდა თა-  
ნამგზავრი.

— საინტერესო ადამიანებთან შეხ-  
ველრა მუწას მიხალისებს.  
მან ვერ გაიგო ჩემი ქარაგმა და  
ისევ პარკეტის საკითხს დაუბრუნ-  
და:

— შენი მისამართი ჩამაწერინე, პა-  
რკეტს გამოგიგზავნი.

— რომელი მისამართი, სამსახუ-  
რისა?  
— სად მუშაობთ?

— ამა და ამ გაზეთის სპეციალუ-  
რი კორესპონდენტი ვახლავარ.  
თქვენ რა გვარი ხართ? — განვავი-  
თარე შეტევა.

— რაო?... მოფერო, გამიჩერე! შე-  
სძახა კაცმა და დაწაფრულ-გამტკნა-  
რებულე გაიფრწა. გამოშვებლობემა  
რას ერქვა, ისე ჩავიდა, უკან არ მო-  
უხედავს. ცოტა ადრე კი ჩავიდა, ალ-  
ბათ ფეხით დაასრულებს მგზავრო-  
ბას.

იმის შემდეგ ყველგან უშიშრად  
დავგოგმანებ. თუ ვინმეს დაინტე-  
რესებს ჩემი ვინაობა, თავიდანვე  
გავეცნობი ხოლმე, სპეციალური კო-  
რესპონდენტი ვახლავართ-მეთქი და  
იმ წუთშივე კარგავს ჩემთან გამომ-  
ცნაურების ხალხს.

ასე ვისწავლე ტყუილების თქმა.  
გამამტყუნებო?

ლილი ფანაშვილი



საქ. სსრ კ. მარქსი 15  
სახ. სახ. რესპუბ.  
ბიგლიოთეკა

# მთხაიქა



## თუ დათვლას, დათვლა იყოს!

## ღვთის სიგნალი



ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო ხელისუფალი სამხრეთ ვიეტნამში ყოველგვარი საშუალებით აერცვლებენ „ინფორმაციებს“, რომლის მიზანია, საზოგადოებრიობას დაანახოს, რომ მათი ჯარისკაცები და ოფიცრები სრულიადაც არ არიან თავზე ხელაღებული მკვლელები, პირიქით, თურმე მეტად მგრძობიარე და, ასე განსაჯეთ, სენტიმენტალური ადამიანებიც კი არიან.

— მე ვიცოდი, რომ ეს კანონით აკრძალულია, მაგრამ მაინც ვაჩეხინებდი ტყეს, — ასე გულწრფელად აღიარა თავისი დანაშაული სასამართლოს წინაშე წარმდგარმა მამაო ქრისტოდულოსმა, საბერძნეთის ქალაქ პირგოსის მონასტრის წინამძღვარმა, — ამას იმიტომ ვაკეთებდი, რომ უფლის წმინდა ტაძარი გამეთბო.

ის-ის იყო მოსამართლე აპირებდა მონასტრის წინამძღვარი დაეჯარიმებინა, რომ უტებ ჭერიდან ხმაურით მოწყდა მოძველებული ჭალი, კანონის დამკველის მაგიდაზე დაენარცხა და კინალამ თავი გაუხეთქა მოსამართლეს.

მოშეს ასეთმა „ეტილმოზობილურმა“ ნაბიჯებმა საზოგადოებრივი აღშფოთება გამოიწვია. მას უკვირნეს, რომ სარგებლობს რა სამსახურებრივი მდგომარეობით, ყოველგვარი ნებართვის გარეშე, სადაც კი მოესურვება, აწარმოებს გათხრებს, ამრიგად, ფაქტიურად ეწევა ნაციონალური სავანძურის ძარცვას.

ოფიციალურმა კომისიამ, რომელიც ამ საქმესთან დაკავშირებით შეიქმნა, სამხედრო მინისტრის მიმართ წაყენებული ბრალდება, რა თქმა უნდა, „დაუსაბუთებლად“ სცნო.

## ხველასზე პატარა „სახელმწიფო“

წყნარ ოკეანეში, ფიჭის კუნძულე-ბიდან 450 მილის დაშორებით, პაწაწინა კუნძულზე ამას წინათ ახალი „რესპუბლიკის“ ალაში აღიმართა.


როგორც ასოშიეიტედ პრესის სააგენტო იუწყება, ეს რესპუბლიკა დააარსა სამმა ამერიკელმა მოქალაქემ, რომელთაც გული აუტრუვდათ „ამერიკული ცხოვრების წესზე“. ერთმა მათგანმა, სახელდობრ მარკ ოლივერმა კუნძულზე ჩამოსულ სენსაციის მოყვარულ ჟურნალისტებს განუცხადა: „ჩვენ გამოვექეით მზარდ გადასახადებს, ნარკოტიკებსა და დანაშაულის სამყაროს“.

თანამედროვე რომბიზონებს გადაწყვეტილი აქვთ, კუნძულზე ააშენონ პორტი და ახალი ქალაქი, რომელიც ფართოდ და სტუმართმოყვარულად გაუღებს კარს ყველას, ვინც „დასავლეთის ცივილიზაციას“ გამოექეცევა.

ერთ-ერთი ასეთი ინფორმაცია იუწყება, რომ ამერიკელებმა მარტო გასულ წელს სამხრეთ ვიეტნამიდან თავიანთ სამშობლოში წამოიყვანეს 270 ძალი, 33 კატა, 19 ქვეწარმავალი, 20 მიიმუნი, 26 ჩიტი, 3 ხელიკი და ერთი მელა.

სრული სურათის დასახატად, ამერიკელებს რატომღაც გამორჩათ ასეთივე პედანტური სიზუსტით დაეთვალათ გვაგებნი იმ ქალების, ბავშვებისა და მოხუცებისა, რომლებიც მათმა გაუგონარმა ვერაგობამ იმსხვერპლა.

„ღმერთმა სიგნალი მომცა“ — გაიფიქრა თავზარდაცემულმა მოსამართლემ და ღვთის მსახური იქვე განათვისუფლა ჯარიმისაგან.



## მოზე ფულს იხვეჭს

## იღბლიანი ბილეთი

ისრაელის თავდაცვის მინისტრი მოზე დაიანი ძალიან გაიტაცა არქეოლოგიურმა გათხრებმა. ამ „გატაცებაში“ მას 700 ათას დოლარად ღირებული უამრავი უძველესი ხელოვნების ნიმუში შესძინა.

როგორც ეტყობა, მინისტრმა გადაწყვიტა, ეს უნიკალური, ბიბლიის დროინდელი ნივთები „ხალხისათვის ხელმისაწვდომი“ გაეხადა და მათი გაყიდვა დაიწყო. ანტიკვარულ მაღაზიებში თავისუფლად შეგიძლიათ იყიდოთ, ვთქვათ, ფინიკური ლარნაკი ანდა ბაბილონური ქალის სამკაული იარლიყით: „გენერალ დაიანის პირადი კოლექციიდან“.

დეტროიტის (აშშ) მცხოვრებს ჯეიმს სტოლსს ბედმა გაუღიმა — დოლში 130 ათასი დოლარი მოიგო; ჯეიმსის ყოფილმა ცოლმა სასამართლოში იჩივლა: იღბლიანი ბილეთი, რომლითაც ჩემმა ქმარმა ფული მოიგო, ორივესი იყო და ვთხოვთ მოგებული ფულიდან ჩემი წილი თანხა გამომიყოთ.

მოსამართლემ საქმე ასე გადაწყვიტა: რაკილა ბილეთი სამი დოლარი ღირდა, ჯეიმს სტოლსს დაეკისროს ერთნახევარი დოლარის ვადახდა ყოფილი ცოლის სასარგებლოდ.

რაც შეეხება მოგებას, მოსამართლემ განაცხადა: „მე უფლება არ მაქვს წავართვა ადამიანს ის, რაც ღმერთმა აჩუქაო“.



გარეკანის პირველ გვერდზე: ლენინის მუზეუმში. ფოტო თ. არჩვაძისა. მეოთხე გვერდზე: ლაბორატორიაში. ფოტო ბ. დადვაძისა.

მთავარი რედაქტორი გ. ნატროშვილი.

სარედაქციო კოლეგია: გ. ბახტაძე, თ. გოგოლაძე (პ/მგ. მდივანი), ს. დურშიშიძე, ლ. კალანდაძე, ვ. კიკნაძე, ა. კუხრაშვილი, დ. ნოდია (მხატვარი-რედაქტორი), მ. სააკაშვილი, ი. ტაბაღუა, უ. ჯაფარიძე.

სამ კაც-ის გამომცემლობა

ტექნიკური დ. ხეფიაშვილი. კორექტორი ტ. თაბორიძე.

რედაქციის მისამართი: თბილისი, რუსთაველის პრ. № 42, III ხართ. ტელ. — რედაქტორის — 99-54-66, პ/მგ. მდივნის — 99-82-69, განყოფილებების — 93-28-42, 99-01-39


რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ფასი 30 კაპ.

გადაეცა ახაწობად 9/III-72 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 22/III-72 წ. ქალ. ზომა 70x108<sup>1</sup>/<sub>2</sub>. ფიზიკური ნაბეჭდი ფურც. 2, პირობით ნაბეჭდი ფურცელი 1,8. საადრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 3,1. ტირაჟი 51.100. შეკვ. № 941. ფე 01781.

Ежемесячный общественно-политический и литературно-художественный журнал „Дроша“ (на грузинском языке) Издательство ЦК КП Грузии

საქ. კაც-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14. Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.



შეხუთე სრულიად საკავშირო კინოფესტივალზე თბილისში ჩვენი ქვეყნის ოცდაცხრამეტი კინოსტუდია მონაწილეობდა. ამ დიდ შემოქმედებით შეჯიბრებაზე შეჯამებული იქნა კინოს მოღვაწეთა გასული წლის მუშაობის ანგარიში.

ფესტივალის კონკურსზე გამარჯვებული ფილმები, მსახიობები, რეჟისორები, ოპერატორები, პრიზებითა და პრემიებით დაჯილდოვდნენ.

ფესტივალის დღეები თბილისში საბჭოთა კინოხელოვნების ზეიმად იქცა: მოეწყო კინემატოგრაფისტების შეხვედრა თბილისისა და ახლო რაიონების მშრომლებთან. კინომუშაკები ეწვივნენ საწარმოებს, კოლმეურნეობებს, სასწავლებლებს. შემოქმედებით კავშირებსა და სამხედრო ნაწილებს.

კინოხელოვანთა ზეიმი საქართველოში დიდხანს ემახსოვრება ფესტივალის ყველა მონაწილესა და სკომარს.



უიურის თავმჯდომარე ს. ბონდარჩუკი გადასცემს პრემიებს.

მეტებთან.

პრემირებულნი — სოფიკო ჭიაურელი და ს. ჩოქმოროვი.

რეჟისორი ი. ოზეროვი და სცენარისტი ო. კუროვანი.

ფ. საკაევი და რ. ჩხეიძე. ფესტივალის მონაწილენი ელმავალმშენებელ ქარახანაში.

ფოტო ფ. კიკვაძის ფ.



